პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 127 (13819) | ხუთშაბათი, 1 ივნისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

ბედნიერი თაობა. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ჩვენი სიცოცხლის ყვავილები

ჩვენი შვილები — ბავშვები, ჩვენი იმედი და მომავალია. და განა არსებობს იმაზე დიდი ბედნიერება, რომ სიხარული ამოიკითხო ბავშვის უმანკო თვალებში, სიხარული, რომელიც მას შენ მიანიჭე!

და არავის ისე არ უხარია და არავის ისე არ სწყინს, როგორც ბავშვებს. როცა ისინი იცინიან, მთელი ქვეყნიერება იცინის, როცა ისინი ტირიან, თითქოს ცაც ტირის, ბავშვის ღიმილი და ბავშვის ცრემლი უწმიდესია, რადგან ბავშვი არასოდეს უგულოდ არ იცინის, არასოდეს უგულოდ არ ტირის.

დღეს ბავშვთა დაცვის ტრადიციული დღესასწაულია. ადამიანთა საუკეთესო გულისნადები გამოხატა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე რომ დააწესა. წელს ამ დღეს უკვე მეთვრამეტედ აღნიშნავს მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ყოველ წამში დედამიწაზე ახალი სიცოცხლე ჩნდება. დედებისა და მამების უპირველესი ნატვრა და სურვილია გაზარდონ ბავშვები ჯანმრთელნი, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ ისწავლონ, შეიცნონ სამყარო. მშობლები ოცნებობენ, რომ მათმა შვილებმა — ხალხის მომავალმა და იმედმა — საკუთარი ხელით გაიუმჯობესონ, გალამაზონ სიცოცხლე დედამიწაზე, ამიტომ უფროსები მშვიდად ვერ იქნებიან, სანამ საერთაშორისო დაძაბულობა სულ უფრო მწვავდება, სანამ მიმდინარეობს გამალებული შეიარაღება, სანამ არსებობს ომის საშიშროება.

ბავშვები ბედნიერნი უნდა იყონ, ლამაზ მშვიდობიან გარემოში უნდა იზრდებოდნენ.

ეს რომ ასე იყოს, ბევრი, ძალიან ბევრი რამ არის საჭირო,

უწინარეს ყოვლისა პატარას არ უნდა ეშინოდეს, რომ ჩამოვარდება ყუმბარა, დაანგრევს სახლს, დაიღუპება, შეიწირავს მშობლებს, თვითონ კი მაწანწალა გახდება. ბავშვებს ჰაერივით სჭირდებათ სიყვარული, ალერსი, თბილი კერა, მათ სურთ დედის უბე და დედის კალთა მუდამ უტკბილეს თავშესაფრად ეგულებოდეთ, შუადამ იმედად და ციხე-სიმაგრედ ადგეთ თავზე მამა. ამიტომ ქვეყნად არ უნდა იყონ ომში დაღუპული და ომიდან შინმოუსვლელი მამები და დედები, ქვეყნად არ უნდა იყოს ობლობა, ხიროსიმა და ნაგასაკი არასოდეს აღარ უნდა გამეორდეს!

სამწუხაროდ, მილიონობით ბავშვს აკლია თავისუფლებაც და მშვიდობაც. მსოფლიოს მილიონობით ბავშვი იზრდება მტრულ, კლასობრივ გარემოცვაში, რასობრივ და ეროვნულ ჩაგვრაში. თავზე მოხვეული უსამართლო ომებში მათ თვალწინ იყლიტებიან უდანაშაულო ადამიანები, იღუპებიან მათი თანატოლები, ინგრევა სოფლები და ქალაქები.

ამჟამად ყველა პატიოსანი ადამიანის ყურადღება მიპყრობილია ვიეტნამის ამბებისადმი, სადაც ამერიკელი აგრესორები ბინძურ ომს ეწევიან. ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ იყენებენ ბომბებს, ნაპალმს, შხამიან გაზებს. იხოცებიან ბავშვები, ახალგაზრდები.

ეს უდიდესი ბოროტება და დანაშაულია. წინ უნდა აღვუდგეთ ბნელ ძალებს, ხმა უნდა ავიმაღლოთ უსამართლობის წინააღმდეგ. ადამიანებისათვის არ არსებობს უფრო სისხლხორცეული საქმე, ვიდრე მშვიდობისათვის, ჩვენი შვილების უჩრდილო სიხარულისა და ბედნიერი მომავლისათვის ზრუნვა.

ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო თავიდანვე, პირველ რიგში ბავშვებზე, ნორჩ თაობაზე ზრუნავდა. 1918 წელს გამოცემული ერთ-ერთი პირველი დეკრეტი დედათა და ბავშვთა დაცვას ეხებოდა. ხოლო 1918 წელს ლენინის მიერ ხელმოწერილი დეკრეტი ბავშვთა დაცვის საბჭოს შექმნის შესახებ ყველა სახალხო კომისარიატს და უწყებას ავალებდა დეკანელური ედევნებინა იმისათვის, რომ ბავშვებს ჰქონოდათ საკმელი, ტანსაცმელი, სამედიცინო დახმარება.

საყოველთაო ზრუნვით არიან გარემოსილნი ბავშვები საბჭოთა კავშირში და მომძე სოციალისტურ ქვეყნებში. თუ მეფის რუსეთში პირველი მსოფლიო ომის წინ მხოლოდ 275 სანავშვო ბაღი და მოედანი იყო შვიდი ათასი ადგილით, ამჟამად ჩვენში 9 მილიონამდე ბავშვი სარგებლობს საბავშვო ბაგებითა და ბაღებით. დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში არის პიონერთა სამი ათასი სასახლე და სახლი, 350-ზე მეტი ნორჩ ტექნიკოსთა სადგური, 300-მდე ნორჩ ნატურალისტთა სადგური და სხვ. საბჭოთა კავშირში ბავშვებისათვის გამოდის 25 გაზეთი.

სსრ კავშირი მსოფლიოში ბავშვთა ყველაზე დაბალი სიკვდილიანობის ქვეყანაა. 1918 წელთან შედარებით ჩვენში ბავშვთა სიკვდილიანობა რვაჯერ და უფრო მეტად შემცირდა.

სულ სხვა სურათია კაპიტალის ქვეყნებში, სადაც „ბავშვთა უფლებების დეკლარაციის“ პრინციპები ლიტონ სიტყვებად რჩება. მილიონობით ბავშვი იღუპება შიმშილისა და ავადმყოფობისაგან, ჩაბმულია მძიმე შრომაში, რჩება უწიგნური. ლათინური ამერიკის ქვეყნებში სასკოლო ასაკის ბავშვების ნახევარზე მეტი არ სწავლობს, ყოველწლიურად ამერიკის შეერთებული შტატების 100 ათასი ახალგაზრდა ვერ შედის კოლეჯებში, რადგან არ გააჩნია სახსრები სწავლისათვის.

ბავშვთა დაცვა კაცობრიობის მომავლის დაცვაა. საბჭოთა ადამიანები დარწმუნებული არიან, რომ ჩვენი მომავალი და ჩვენი ბავშვების მომავალი გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე დღეს არის.

ამ მტკიცე რწმენით იბრძვიან ისინი ბავშვთა ბედნიერებისათვის, მშვიდობისათვის, კაცობრიობის ხვალინდელი ნათელი დღისათვის, და სჯერათ, რომ მალე მთელი მსოფლიოს ბავშვები ისევე ბედნიერნი იქნებიან, როგორც ჩვენს ქვეყანაში. მსოფლიოს კეთილი ძალები იხსნიან ჩვენი პლანეტის ნორჩ თაობას დათრგუნვისა და ძალმომრეობისაგან.

ყველა ბავშვისათვის ანათებდეს მზე!

მსოფლიოში ერთი მილიარდი ბავშვია. მილიარდი ნორჩი გულის ცემა მომავლის სიმღერაა. დღეს ამ მომავლის დაცვის საერთაშორისო დღეა.

— მაგრამ არა მარტო 1 ივნისი, არამედ წლის დანარჩენი 364 დღე უნდა იყოს ომისაგან, სიღატაკისაგან, ავადმყოფობისაგან, სულიერი გახრწნისაგან ბავშვთა დაცვის დღე, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ზ. ფიოდოროვამ. — ექნება თუ არა მსოფლიოს ყველა ბავშვს ნათელი მომავალი, იქნება თუ არა ყველა ბავშვი ბედნიერი? დღეს შეშფოთებით სვამენ ადამიანები ამ კითხვას.

...თხაიბინის პროვინციის ქალაქ თხუანის სკოლაში მეცადინეობა მიმდინარეობდა. შორიდან მოისმა თვითმფრინავების გუგუნი. „სასწრაფოდ თავშესაფარში!“, — გასცა განკარგულება მასწავლებელმა. მაგრამ ზუბერითი სვავები უკვე სკოლის თავზე იყვნენ. ზედიზედ გაისმა ხუთი აფეთქება. როდესაც ნანგრეულებიდან ამოთხარეს მოსწავლეები, დაინახეს, რომ მასწავლებელიც დაღუპულიყო. იგი სხეულით გადაფარებოდა გოგონას, რომელიც ცოცხალი გადარჩა...

— ამერიკელი აგრესორები ვიეტნამის მიწა-წყალზე . გაადფრენენ სპობენ ყოველივე ცოცხალს, სამიზნეებად გაიხადეს ბავშვებიც კი. პროგრესული კაცობრიობა აღშფოთებით გმობს ბავშვთა მკვლელებს. ახლა არა არის რა იმაზე უფრო გადაუდებელი ამოცანა, ვიდრე სოლიდარობა განვამტკიცოთ გმირ ვიეტნამთან, რომელიც იგერიებს ინტერვენტთა შემოსევას, იბრძვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, თავისი ბავშვების ბედნიერებისათვის.

ჩვენი სახელმწიფო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს თავისი სახელოვანი 50 წლისთავის მზადების დღეებში. საბჭოეთის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას ყოველთვის მხურვალედ უჭერდნენ და უჭერენ ახალ პლანეტის ყველა კონტინენტის დედები და მამები.

ზრუნვა ნორჩი თაობისათვის ყოველთვის იყო და იქნება სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე ჩვენში პოპულარული და შეუცვლელი გახდა მოწოდება: „ყოველივე საუკეთესო — ბავშვებს!“. გავიხსენოთ ჩვენი სამშობლოსათვის უმძიმესი დრო — სამოქალაქო ომის წლები. ომია, შიმშილობენ მუშები და წითელარმიელები. მაგრამ ბავშვებმა არ უნდა იშიმშილონ. ელადიმერ ილიას-ძე ლენინმა 1919 წლის 4 ივნარს ხელი მოაწერა სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას, რომლის მიხედვით ყველა ბავშვს 14 წლის ასაკამდე ჩითვლით ეძლეოდა უფასო კვება.

დედათა და ჩვილთა დაცვა როგორც სახელმწიფო სისტემა პირველად სწორედ საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა. ეი მხოლოდ რამდენიმე ციფრი, რომლებიც მოწმობენ ამ ზრუნვას.

ახლა საბჭოთა კავშირში რვა მილიონ ბავშვს ზრდიან საბავშვო ბაღებსა და ბაგებში. 1970 წლისათვის კი სკოლამდელთა დაწესებულებებში იქნება ჩვენი ქვეყნის 12 მილიონზე მეტი ყველაზე ნორჩი მოქალაქე. აღარ იქნება რიგები ბაგებსა და საბავშვო ბაღებში ადგილებისათვის.

1967 წელს თითქმის რვა მილიარდი მანეთია გამოყოფილი ჩვენი ქვეყნის სკოლებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებათა დაფინანსებისათვის.

აღვზარდოთ სულიერად ლამაზი, ფიზიკურად ჯანმრთელი, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი — ამისათვის ზრუნავენ სსრ კავშირში სახელმწიფო, პარტია, კომკავშირი, პროფკავშირები, მთელი ხალხი. ოჯახსა და სკოლას ეხმარება საზოგადოებრიობა. კეთდება ყველაფერი, რათა ჩვენი ბავშვები იზრდებოდნენ შესანიშნავი კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლებად.

— ინტერნაციონალური მეგობრობისა და ჰუმანიზმის გრძნობით არიან გამსჭვალული საბჭოთა ქალები. მთ აწუხებთ თავიანთი საზღვარგარეთელი მეგობრებისა და მათი ბავშვების ბედი იმ ქვეყნებში, სადაც არ არის სოციალური თავისუფლება, სადაც ხალხი იტანჯება რეაქციის თარეშისაგან, ჩაგვრისა და სიღარიბისაგან. — თქვა დასასრულ ზ. ფიოდოროვამ. საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტი აქტიურად უჭერს მხარს მომავ ვიეტნამელ ხალხს, რომელსაც ბავშვებისათვის უგზავნის მედიკამენტებს, ქსოვილებს, კვების პროდუქტებს. ვცდილობთ აგრეთვე ქმედითი დახმარება გავუწიოთ აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის ქვეყნების ბავშვებს.

ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ჰორსტ ბიტნერი, რომელიც თბილისში იმყოფება, 31 მაისს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პ. მჟავანაძეს.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძესა და ამხ. ჰ. ბიტნერს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარს ესწრებოდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მრჩეველი კარლ ზაიდელი, საელჩოს მეორე მდივანი ფრიც ვოლფი, ატაშე მანფრედ მეცნერი.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი. (საქდესი).

შეხვედრა ბ. დ. ჯაპახიშვილთან

31 მაისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ. დ. ჯაპახიშვილმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ჰორსტ ბიტნერი. გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელსაც ესწრებოდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მრჩეველი კარლ ზაიდელი, საელჩოს მეორე მდივანი ფრიც ვოლფი, ატაშე მანფრედ მეცნერი.

საუბარს ესწრებოდა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი. (საქდესი).

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების VI სრულიად საკავშირო ყრილობა

30 მაისს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების VI სრულიად საკავშირო ყრილობის საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი მოხსენებათა გამო. ყრილობის ტრიბუნიდან ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გამოცდილება დამსწრეთ გაუზიარეს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების კომიტეტების ხელმძღვანელებმა — ა. ი. სერგეევმა (მოსკოვი), ა. ფ. პოკალნუკმა (უკრაინა), კ. ბ. ბოშაევმა (ყაზახეთი), ა. ი. გულიდოვმა (მოსკოვის ოლქი), ვ. ე. სოსაკევიჩმა (უზბეკეთი). სხდომაზე გამოვიდა აგრეთვე სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ი. იაკუბოვსკი.

მოსკოვი, 31 მაისი. (საკდესის კორ.). კრემლის დიდ სასახლეში გრძელდება არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მეექვსე სრულიად საკავშირო ყრილობა. ყრილობაზე ტრიბუნაზე ავიან: არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარეცენზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებებს. დღის დილის სხდომაზე კამათში გამოვიდნენ საზოგადოების ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ვ. ერმოლაევი, სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ი. ჩუნაგიჩუსი და სხვები.

დაისურა გამოფენა „ინვროდმაშ-67“

მოსკოვის „სოკოლნიკის“ პარკში დაიხურა საერთაშორისო გამოფენა „ინვროდმაშ-67“.

გამოფენის ბოლო დღე უაღრესად აქტიური იყო. დიდი უთიერთხელსაყრელი კონტრაქტები.

ორი კვირის მანძილზე „სოკოლნიკის“ გამოფენა დაათვალიერა 600 ათასამდე მოსკოველმა. დელეგაციებმა, მრავალი ქვეყნის მეცნიერებმა, კვების მრეწველობის სპეციალისტებმა. (საკდესი).

„გმირობის გზით“

„გმირობის გზით“ — ასე ეწოდება დიდი სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს დედაქალაქის ახალგაზრდობის მრავალი დღის ლაშქრობას. ლაშქრობა მოაწყვეს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ“, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკურმა საბჭომ. ლაშქრობის მონაწილენი მოინახულებენ ჩრდილოეთ კავკასიის, ყუბანისა და ყირიმის ქალაქებსა და სოფლებში ქართული 224-ე, 392-ე, 414-ე და 394-ე მსროლელთა დივიზიების სამრძოლო მოქმედების ადგილებს. ისინი დათვალიერებენ მუზეუმებს, საბჭოთა მეომრების მემორიალურ ძეგლებს, საფლავებს.

უკან დაბრუნების დროს ლაშქრობის მონაწილენი შეჩერდებიან გაგრაში, გალში, სამტრედიაში, წყალტუბოში, ტყიბულში, გორში და ამ ქალაქების მშრომელებს მოუთხრობენ ომზე, რასაც ნახავენ ჩრდილოეთ კავკასიაში, ყუბანსა და ყირიმში.

„გმირობის გზით“ ლაშქრობას მეთაურობს თოდარიგის გენერალ-მაიორი, 242-ე, 414-ე მსროლელთა დივიზიებისა და 143-ე მსროლელთა ბრიგადის ყოფილი მეთაური გ. ყურაშვილი. ლაშქრობის მონაწილეთა შორის არიან თადარიგის გენერალ-მაიორი ვ. ზარეული, თადარიგის პოლკოვნიკები, საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ლურსმანაშვილი, ე. ქანთარია, კ. სოხაძე, პ. კაციტაძე და სხვები.

31 მაისს ლენინის მოედანზე ლაშქრობის მონაწილეთა გასაცილებლად მოვიდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, ტურისტული ორგანიზაციების, საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ წარმომადგენლები.

ლაშქრობას მონაწილეებს მიესალმნენ და გზა დაულოცეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგემ ნ. წერეთელმა, საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენელმა ი. თულაშვილმა. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა თადარიგის გენერალ-მაიორმა გ. ყურაშვილმა. ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა თაიგულები მიართვეს ლაშქრობის მონაწილეებს.

გაისმის ბრძანება — ლაშქრობის მონაწილეები ადგილებს იკავებენ ავტობუსებში. მანქანები საპატიო წრეს არტყამენ ლენინის ძეგლის გარშემო და იღებენ კურსს საქართველოს სამხედრო გზისაკენ.

ომის ვეტერანებისა და ახალგაზრდობის მრავალი დღის ლაშქრობა „გმირობის გზით“ დაიწყო! (საქდესი).

მეგრელი, მსაცდარი, მოქალაქე

31 მაისს კრემლის სვერდლოვის დარბაზში გაიმართა საზეიმო კრება, რომელზეც „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია გადაეცა როკუელ კენტს — მხატვარს, ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადო მოღვაწეს.

საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ტაშის გრიალში საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა დ. ვ. სკობელცინმა როკუელ კენტს გადასცა მაღალი ჯილდო და გულთბილად მიულოცა მას.

(საკდესი).

„საოქტომბრო კითხვა“

თბილისში გრძელდება საოქტომბრო კითხვა, რომელიც საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო ორგანიზაციამ მოაწყვეს.

მშრომელები, რომლებიც ეგებებიან დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს, ცხოველ ინტერესს იჩენენ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საკითხებისადმი.

ერთ-ერთ ასეთ საკითხს — „საქართველოს სოფლის მეურნეობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის“ — მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის შ. ი. ბანუშვილის მოხსენება.

მოხსენებამ, რომელიც ამხ. ჰანუყაევმ გააკეთა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საქტო დარბაზში, მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. (საქდესი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაცია აწყობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ „საოქტომბრო კითხვას“.

მოხსენებას თემაზე „ელექტროფიკაციის განვითარება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში“ წაიკითხავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ბ. ი. ჩოგოვაძე.

მოხსენება შედგება 1967 წ. 2 ივნისს დღის 4 საათზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საქტო დარბაზში (რუსთაველის პრსპ. № 29) ქართულ ენაზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობა.

ბულგარეთის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია საქართველოში

საქართველოში სამ დღეს იყო ბულგარეთის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ანგელ ტოდოროვი. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ბულგარეთის კომპარტიის ველიკოტირნოვოს საოლქო კომიტეტის მდივანი ანეკა ივანოვა, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები ვლადო კოსტოვი და პეტრე ბალევსკი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის პარტიული მშენებლობის კათედრის გამგე, დოცენტი კირილე ივანოვი, პარტიის ქალაქ სოფიის კასილ ლევსკის საბელობის რაიონის რაიკომის პირველი მდივანი ლაზარე ლაზაროვი, ბულგარეთის კომპარტიის ბლეველნის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე სლავკო ნიკოლოვი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი სსრ კავშირში ივანე ვიოლევი.

ბულგარეთის პარტიული მუშაკები იყვნენ გურჯაანის რაიონში, სადაც დაწვრილებით გაეცნენ სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ პარტიული ორგანიზაციის მუშაობას, შეხვდა შეხვდნენ პარტიის გურჯაანის რაიკომის ბიუროს წევრებსა და რაიკომის მუშაკებს. რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ბაურაშვილმა ბულგარელ სტუმრებს გააცნო, თუ როგორ არის რაიონში დაყენებული პარტიული მუშაობა.

დელეგაცია ეწვია აგრეთვე გარდაბნის რაიონის ბარკეთილის საბჭოთა მეურნეობას. სტუმრები დაინტერესდნენ საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების მუშაობით, ესაუბრნენ ბარის საბჭოთა მეურნეობის პირველ მდივანს გ. ნადაშვილს.

დელეგაცია მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. ა. როდიონოვმა.

საუბრის დროს შეეხნენ პარტიული მუშაობის სხვადასხვა საკითხს, მათ შორის პარტიული აპარატის მუშაობის დაგეგმვისა და ორგანიზაციას, კადრების შერჩევის, განაწილების, აღზრდისა და სწავლების, პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში საზოგადოებრივი საწყისების განვითარების საკითხებს.

ბულგარელი სტუმრები გაეცნენ თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობებს, იყვნენ სპორტის სასახლეში ყვავილების გაფოფენაზე, დათვალიერეს დედაქალაქის ახალშენებლობანი, მოაწყობილის კულტურისა და დასვენების პარკი. შეხვდნენ თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ადსაზრდელებს. (საქდესი).

ზუგდიდელ მეჩაიეთა სიტყვა

გეგმის გადამეტებით— 1.000 ტონა ჩაის ფოთოლი!

ბ. კვარაცხელია,

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი

27.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიღებისათვის ბრძოლა, რაიონის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო შუამავების პირველი რიგის ამოცანაა.

ეალდებულების წარმატებით შესრულება დაძაბულ მუშაობას მოითხოვს. მართალია, კრეფის სეზონის გვიან დაწყება ერთგვარ სიძნელეებს ქმნის, მაგრამ ადგილზე არსებული რეზერვების მაქსიმალური ამოქმედებით და გამოყენებით უმოკლეს პერიოდში შეძლებთ „გაცდენილი“ დღეების ანაზღაურებას.

სიუბილეო წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ მარშან შემოდგომაზე დაიწყო. აგროკადრებმა დამთავრდა პლანტაციების რიგთაშორისების დამუშავება, სასუქების შეტანა, ბუჩქების გასხვლა-გაფორმება, ფართობების სამეანისაციოდ მომზადება. წელს 130 ჰექტარ პლანტაციაში გასვახორციელეთ ნახევრადძირი გასხვლა. განსაკუთრებულ ყურადღებას ეაქცევთ ძოწინაეთია გამოცდილების ფართოდ დანერგვას.

ვინ მოთვლის, რამდენი სახელმოხვეველი მეჩაიე აღუზრდიათ ჩვენს ვეტერანებს — ორგანის სოციალისტური შრომის გმირს თამარ ყუფუნიას, სოციალისტური შრომის გმირს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ქონია სარსენიას, აკრეთვე ადელინა ფარცვანიას, ომენა ბულისკერიას, ლუბა სახოკიას და სხვებს.

აღსანიშნავია, რომ ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ რაიონში დიდი სიყვარულით სარგებლობს. ამ საქმეში დამსახურებული წვლილი შეიტანეს ინგირლის, ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორებს. შარშან მეურნეობის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა. წელსაც გაზრდილი ვალდებულება აქვთ ნაკისრი. სულ ერთ ფოთოლი 2.500 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 2.400 ტონისა. აქედან მანქანებით მოკრეფენ 2.100 ტონა ნედლეულს. რაიონში ამ მანქანებით სულ 5.000 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოიკრიფება.

წელს სრულყოფილად ამოქმედდება აქამდე ნაკლებად გამოკვლებული ჩაის პლანტაციები, რომლებიც სათანადოდ არ იყო დამუშავებული და ძალიან დაბალ მოსავალს ვიღებდით. წელს პლანტაციების ერთ-ერთ გახხოვიელდება 1.432 ჰექტარზე.

დროულად ვიზრუნეთ მეჩაიეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. პლანტაციებში უკვე მუშაობს ორასზე მეტი სავალე სასადილო. მარტო ხეკერის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გახსნილია 10 სავალე სასადილო, ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოეწყო საბავშვო ბაგები და ბაღები 11.250 ბავშვისათვის.

რაიონში 30 მაისის ჩათვლით მოკრეფილია 6.357 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ: მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, რაიონის შრომისმოყვარე მეჩაიეები სასახელო მაჩვენებლებით შეხვდებიან საიუბილეო თარიღს. და წლიური გეგმის გადამეტებით მოკრეფენ 1.000 ტონა ჩაის ფოთოლს.

გუშინ პლანტაციებში

საიუბილეო წლის ვახტზე დგანან მეჩაიეები. დაბაბელი შრომის ფრონტიდან მოდის ახალ-ახალი ცნობები. მაისის უკანასკნელ დღეს **რესპუბლიკის** მეჩაიეებმა **მოკრიფეს 6.289 ტონა ჩაის ფოთოლი. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 52.622 ტონა, რაც წლიური გეგმის 26,3 პროცენტს შეადგენს.**

ბათუმის რაიონმა ერთ დღეს მოკრიფა 238 ტონა ჩაის ფოთოლი. სულ მოკრეფილია 2.962 ტონა. **ქობულეთელებმა** 30 მაისს მოკრიფეს 664 ტონა, სეზონის დაწყებიდან — 5.618 ტონა. სულ **აჭარაში** მოკრეფილია 8.679 ტონა. **გალის** რაიონში ერთ დღეს მოკრიფეს 619 ტონა „მწვანე ოქრო“. სულ კი — 4.752 ტონა. **ონჩამჩირელებმა** მოკრიფეს 356 ტონა, სეზონის დაწყებიდან — 2.937 ტონა. სულ **აფხაზეთში** მოკრეფილია 8.771 ტონა.

ზუგდიდის რაიონში მოიკრიფა 772 ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო სეზონის დაწყებიდან — 6.357 ტონა. **ლანჩხუთელებმა** 30 მაისს მოკრიფეს 353 ტონა. სულ მოკრეფილია 2.860 ტონა. **ჩხორწყუს** რაიონში ერთ დღეს მოკრიფეს 250 ტონა ჩაის ფოთოლი, სულ კი — 2.440 ტონა. **გეგეჭკორის** რაიონმა მოკრიფა 345 ტონა, სულ მოკრეფილია 2.816 ტონა. **ცხაკაიას** რაიონში 30 მაისს მოკრიფეს 194 ტონა ჩაის ნედლეული, სულ კი — 1.440 ტონა. **წალენჯიხელებმა** ერთ დღეს მოკრიფეს 368 ტონა, სეზონის დაწყებიდან — 2.985 ტონა.

სტუმრად ავღანეთში

□ დარბაზობა ავღანეთის მეფესთან □ გვირგვინით შეამკეს მუჰამედ ნადირ შაჰის მაზოლეული □ საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მოლაპარაკება □ შეხვედრა მეგობრობის საზოგადოებაში

ქაბული, 30 მაისი. საკადესის სპეციალური კორესპონდენტი ბ. ა. სტუპაკი და ბ. პეტროვი გვატყობინებენ: დღეს საღამოს ავღანეთის მეფემ მუჰამედ ზაჰირ შაჰმა თავის რეზიდენციაში — დელკუშის სასახლეში დარბაზობა გაუმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნინს სიტყვები წარმოთქვეს. ავღანეთის მეფე მიეალმა ნ. ვ. პოდგორნის და აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრულ ურთიერთობას.

მუჰამედ ზაჰირ შაჰმა ხაზი გაუსვა, რომ ამ მეგობრობის მტკიცე საფუძველია ურთიერთნდობა და პატივისცემა, რაც მნიშვნელოვნად განმტკიცდა ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ეკონომიკის დარგში ფართო თანამშრომლობის შედეგად. ჩვენი ხალხი, თქვა ავღანეთის მეფემ, გულწრფელ მადლობას უძღვნის მატერიალური და ტექნიკური დახმარებისათვის მეგობარ ქვეყნებს, რომელთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია საბჭოთა კავშირს.

მეფემ მუჰამედ ზაჰირ შაჰმა აყვავება და ბედნიერება უსურვა საბჭოთა ხალხს, ისურვა ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის ნაყოფიერი გაფართოება.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნინმ.

ნ. ვ. პოდგორნინმ მადლობა გადაუხადა ავღანეთის მეფეს გულთბილი მიღებისათვის და ილაპარაკა ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის წარმოშობასა და განვითარებაზე, ამ ურთიერთობისათვის დამახასიათებელია კეთილმეზობლობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ურთიერთდობა. დიდ კმაყოფილებას გვგვრის, ხაზი გაუსვა ნ. ვ. პოდგორნინმ, რომ ჩვენი სახელმწიფოები ინტენსიურად ავითარებენ ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას ყველა დარგში. საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს შორის დამყარებული ურთიერთობა, თქვა ნ. ვ. პოდგორნინმ, შეესაბამება არა მარტო ჩვენი ხალხების ინტერესებს, არამედ სხვა ქვეყნების ხალხთა ინტერესებსაც.

ნ. ვ. პოდგორნინ შეეხო თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას და განაცხადა: „გვერდს ვერ ავუვლიდ იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთი მოქმედებით უხეშად თელავენ ხალხთა და სახელმწიფოთა ურთიერთობის სამართლიან ნორმებსა და პრინციპებს. ისინი ჩაერიენენ ვიეტნამელი ხალხის საქმეებში, მოახდინეს აშკარა აგრესია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირს, ხაზი გაუსვა ნ. ვ. პოდგორნინმ, თავის მაღალ ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია ყოველნაირად დაუჭიროს მხარი ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და კიდევაც უწევს საჭირო დახმარებას.

საბჭოთა კავშირი, განაგრძო მან, მხარს უჭერს აგრეთვე არაბ ხალხებს, რომელთა ეროვნული დამოუკიდებლობის შესარყევად იმპერიალისტები ცდილობენ მოაწყონ სამშინელო სამხედრო პროვოკაციები. ჩვენი სახელმწიფო, ხაზი გაუსვა ნ. ვ. პოდგორნინმ, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ არ დაუშვას მშვიდობისა და უშიშრების დარღვევა ახლო აღმოსავლეთში.

მშვიდობის შენარჩუნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თქვა მან შემდეგ, გარკვეული მილიტარისტული ძალების ალაგმვას ევროპის კონტინენტზე.

ქაბული, 30 მაისი. (საკდესი). ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰთან ვიზიტის შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნინი და მისი თანმხლები პირები ავტომობილებით გაემართნენ ავღანეთის დედაქალაქის მახლობლად აღმართულ ეროვნულ პარკში, სადაც დადგმულია დიდებული მავზოლეუმი. მავზოლეუმში განისვენებს მმართველ სამეფო დინასტიის ფუძემდებელი, ავღანეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და დიდი მხედართმთავარი მუჰამედ ნადირ შაჰი, რომელიც ეერგაულად მოკლეს 1933 წელს.

მავზოლეუმში საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურმა ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შეამკო ნადირ შაჰის აკლდამა. გვირგვინის ალაყვარ ლენტზე წარწერილია: „მის უდიდებულესობას მუჰამედ ნადირ შაჰს, ავღანეთის მეფეს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნინ“.

შემდეგ ნ. ვ. პოდგორნინ და მისმა თანმხლებმა პირებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს ავღანეთის დიდი სახელმწიფო მოღვაწის ხსოვნას, რომელმაც სიცოცხლე შესწირა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

ქაბული, 31 მაისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ა. სტუპაკი და ა. პეტროვი იუწყებიან:

დღეს დილაუშის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნინის და ავღანეთის მეფის მუჰამედ ზაჰირ შაჰის მოლაპარაკება.

განიხილეს საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრული ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების საკითხები. გაიმართა აზრთა გაზიარება მთელ რიგ ურთიერთსაინტერესო დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე. ორივე მხარემ შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ სერიოზულად მწვავდება მდგომარეობა მსოფლიოს ცალკეულ რაიონებში და უწინარეს ყოვლისა ვიეტნამსა და ახლო აღმოსავლეთში. მოლაპარაკება გაგრძელდება.

ქაბული, 31 მაისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ა. სტუპაკი და ა. პეტროვი გვატყობინებენ: ავღანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ დღეს დარბაზობა გაუმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნისა და მის თანმხლებ პირებს.

საქართველოს ხალხებს!

საქართველოს მზრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდ შეშფოთებას გამოთქვამენ ბოლოვითის, პერუსა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების მრავალი პოლიტიკური პატიმრის ბედის გამო. რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში ხალხმრავალი მიტინგები იმართება. შეკრებათა მონაწილენი ერთსულოვნად მოითხოვენ იმ პატრიოტების განთავისუფლებას, რომლებიც მთელ თავიანთ ძალღონეს ახმარენ ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლას.

ასეთი მიტინგები გაიმართა ამ დღეებში თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკაში, თბილისის კერამიკულ კომბინატში, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სავაგონო დეპოში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში და სხვ.

„დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ლათინური ამერიკის ქვეყნების პატრიოტთა დევნა, გაათავისუფლეთ პოლიტიკური პატიმრები!“, „მხარს ვუჭერთ ლათინური ამერიკის ქვეყნების მუშათა კლასისა და გლეხობის ბრძოლას!“, „ბოლო მოეღოს პატრიოტული ძალების დევნას, შეწყდეს რეპრესიები!“ — ნათქვამია მიტინგებზე მიღებულ რეზოლუციებში.

საბჭოთა კავშირი, ერთგულ ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ისარაელის მთავრობამ აქ ბოლო თვეების მანძილზე განახორციელა მთელი რიგი მოქმედებანი, რომლებიც არღვევენ არაბთა ქვეყნების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, საფრთხეს უქმნიან მშვიდობას ახლო აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში. მსოფლიოს ხალხები სამართლიანად მოელიან, ხაზგასმულია ამ დოკუმენტში, რომ ისრაელის ხელმძღვანელები თავს შეიკავებენ შემდგომი აგრესიული მოქმედებისაგან, რომლებმაც შეიძლება გამოუსწორებლად გაანადგაროს კრიზისი ახლო აღმოსავლეთში.

ჰავანა. კუბელი ხალი გადაჭრით უჭერს მხარს არაბთა ქვეყნებს, წერს გაზეთი „გრანმა“. იგი გულთაფურთოით გმობს იმპერიალისტების პროვოკაციულ ხოქმედებას ახლო აღმოსავლეთში, რომელსაც აგრესიის საფრთხე მოელის.

მსოფლიოს ამ რაიონში წარმოშობილი კრიზისი, წერს „გრანმა“, კიდევ ერთხელ გამოხატავს ამერიკის იმპერიალიზმის დანაშაულებრივ ხასიათს, მის „მსოფლიო ესკალაციას ხალხთა უფლებებისა და მზარდი განშორთავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ“.

●ალჟირი. „იმპერიალიზმის მიზნები არავითარ ეჭვს არ იწვევს: ეს არის ყოლოფიალიზმის ომი სოციალიზმის წინააღმდეგ“, — წერს გაზეთი „ელ-მუჯაჰიდი“ სტატიაში, რომელიც ეძღვნება ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას და ალჟირის ხელმძღვანელობის ღონისძიებებს.

„ალჟირის — მისი ხალხისა და მთავრობის ღონისძიებანი ასახავს ჩვენს თანმიმდევრულ პოლიტიკას ყველა საკითხში, რომლებიც შეეხება არაბულ სამყაროს“. ეს ღონისძიებანი მარტო დახმარება ან სოლიდარობის უბრალო როდი, ეს არის კონკრეტული გაძოვლინება ალჟირის სიმტკიცისა, რომელსაც უშუალოდ შეეხება ბრძოლა იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ“. „ბრძოლა ახლო აღმოსავლეთში ჩვენი ბრძოლაა, — ბოლოს უსვამს „ელ-მუჯაჰიდი“. — წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა იმპერიალიზმს შეეძლო მშვიდად დახმოდა თავს ამა თუ იმ არაბულ ქვეყანას“.

რაბათი. თუ ისარაელი განახორციელებს აგრესიას, მაროკო ეფექტიან მხარდაჭერას გაუწევს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას. მაროკოს მეფემ მოხსენ II-ე მისცა განკარგულება თავისი მთავრობის მინისტრებს განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება ამ მხრივ, ნათქვამია მეფის კანცელარიის კომუნიკეში, რომელიც აქ გამოქვეყნდა.

დელი. აქ გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელზეც ინდოეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა გასაბადეს, რომ მტკიცედ დაუჭერენ მხარს არაბ ხალხს ახლო აღმოსავლეთში იმპერიალისტთა ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სრულიად ინდოეთის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის ასოციაციის თავმჯდომარემ კ. დ. მალავიამ მიტინგზე განაცხადა, რომ ინდოელი ხალხი მხარს უჭერს არაბ ხალხს, რომელსაც ახალი იმპერიალისტური აგრესიის სერიოზული საფრთხე ემუქრება.

პარლამენტის დეპუტატმა დივან ჩამან ლალმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ იმპერიალიზმი განზრახ ქმნის დაძაბულობის კერებს მაოფლიოში. მაგრამ აუცილებლად ჩაიფუშება მისი განზრახვა პროვოკაციულად გამოიწვიოს აგრესია სირიისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გამოთქვამენ დიდ შეშფოთებას ახლო აღმოსავლეთში შექმნილი საშიში მდგომარეობის გამო. მიტინგის მონაწილეებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს არაბ ხალხს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის ბრძოლაში და მოუწოდეს ინდოელ ხალხს დაეხმაროს არაბთა ქვეყნების ხალხებს ინდოეთში სოლიდარობის მასობრივი კამპანიის გაჩაღების გზით, ნათქვამია რეზოლუციაში.

ალჟირეთი ომის საფრთხე

მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში

კაირო, 30 მაისი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა და ირაყნის მეფემ ჰუსეინმა დღეს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საერთო თავდაცვის შესახებ 5 წლის ვადით. ამას იუწყება მენის სააგენტო.

ხელშეკრულება ითვალისწინებს ამ ქვეყნების თავდაცვის საერთო საბჭოს და შეიარაღებული ძალების საერთო სარდლობის შექმნას. ხელშეკრულებას მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ავტომატურად გაუგრძელებენ ვადას შემდგომი 5 წლით.

ტელ-ავივი, 30 მაისი. (საკდესი). გუშინ პრემიერ-მინისტრმა ლევოლმა ისაელის ეხლეტის (პარლამენტის) სხდომაზე გააკეთა განცხადება, რომელშიც კვლავ შეეცადა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი კრიზისიდან მაგრამ ბრალი დააკისრებინა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისათვის.

ფინანსთა მინისტრმა საპირმა, რომელიც პარლამენტში გამოვიდა, განაცხადა, რომ „საგანგებო ვითარებისათვის“ მისმა სამინისტრომ შექმნა 600 მილიონი დოლარის საგანგებო რეზერვი. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ შექმნილია პირველი საჭიროების საქონლის, განსაკუთრებით სათბობის დიდი მარაგი.

ისრაელის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბენ ჰურიონმა მოაწყო აქ პრესკონფერენცია, რომელზეც გამოთქვა თავისი აზრი ახლო აღმოსავლეთის კრიზისის შესახებ. კერძოდ, ბენ ჰურიონმა აღნიშნა, რომ ისრაელის სახელმწიფო უნდა დაეყრდნოს თავისი არმიის ბრძოლისუნარიანობასა და ძალიერებას.

მკვახე განცხადებანი გააკეთეს გახალისა და რაფის მემარჯვენე პარტიებმა. მათ მოითხოვეს დაუყოვნებლივი და უფრო გადამჭრელი ღონისძიებანი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ, აგრეთვე ის, რომ შეექმნას „ეროვნული ერთობის ახალი მთავრობა, რომელშიც შევა უკიდურესად მემარჯვენე ძალები“.

ლონდონი, 31 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებთან ფარული კონსულტაციების შემდეგ გუშინ ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჰ. ვილსონის თავმჯდომარეობით გაიმართა მინისტრთა კაბინეტის სხდომა, სადაც განიხილეს ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა.

საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ჯ. ტომსონმა კაბინეტის წევრებს წარუდგინა დაწვრილებითი მოხსენება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში ამ პრობლემის განხილვის შესახებ, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯ. ბროუნმა გააცნო თავისი მოსკოვის ვიზიტის შედეგები.

როგორც აქ კარგად ინფორმირებულ პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, გუშინდელი დახურული სხდომის შემდეგ ინგლისის კაბინეტი დაადასტურებს, რომ ინგლისი მზად არის შეუერთდეს ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებას ისრაელისათვის დახმარების გასაწევად.

კოგონუ, 30 მაისი. (საკდესი). დღეს დილით ეხუგეს რადიოთი გამოვიგეთ ალმოსავლეთ ნიგერიის სამხედრო ლიდერი პოდპოლკოვნიკი ოდუმეგეუ-ოჯუკუ.

რომელმაც თქვა, რომ აღმოსავლეთი ოლქი გაიყოფა ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობიდან და გამოაცხადა იგი ბიაფრის დამოუკიდებელ რესპუბლიკად.

საადესის კომენტატორი გ. სკობელევი წერს:

ამრიგად, პოლიტიკურმა კრიზისმა, რომელიც აი უკვე წელიწადნახევარია გრძელდება ნიგერიის სახელმწიფოში, თავის აპოგეას მიაღწია. გასული წლის იანვარში ნიგერიაში მოხდა სამხედრო გადატრიალება. არმიის ოფიცერთა ჯგუფმა გენერალ აგიი-ირონსის მეთაურობით დაამხო ბალეგეს მთავრობა და ხელში იაოო ძალაუფლება. აგიი-ირონსის მთავრობა შეეცადა მოესპო ამ ქვეყნის სახელმწიფო წყობილების ფედერაციული ფორმა და გადაექცია ნიგერია უნიტარულ სახელმწიფოდ.

მაგრამ ზოგიერთი რეგიონალური ლიდერის წინააღმდეგობის შედეგად ეს გეგმა ვერ განხორციელდა.

1966 წლის იულისში ჩრდილოეთ ნიგერიაში დასავლეთის ზოვიერთი სახელმწიფოს ჩარევით პროვოკაციულად გამოიწვიეს სისხლისმღვრელი მეტაკაებანი სხვადასხვა ეთნიკურ დაჯგუფებებს შორის.

იულისის დამლევს სამხედრო პირთა ჯგუფმა მოახდინა ახალი სახელმწიფო გადატრიალება და ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა პოდპოლკოვნიკ გოვონის სამხედრო მთავრობა. ამ მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია. შეენარჩუნებინა ნიგერიის სახელმწიფო წყობილების ფედერაციული ფორმა. მაგრამ ვერ დაითახხმა ნიგერიის აღმოსავლეთ ოლქის ლიდერი პოდპოლკოვნიკი ოდუმეგეუ-ოჯუკუ იმ საკითხში, თუ როგორ ვაეყოთ კომპეტენციები რეგიონალურ ხელისუფლებსა და ცენტრალურ მთავრობას. აღმოსავლეთ ნიგერიის ლიდერები მოითხოვდნენ აგრეთვე განსაკუთრებულ ეკონომიურ პრივილეგიებს თავიანთი ოლქისათვის და ამას ადასტურებდნენ იმით, რომ აღმოსავლეთი ოლქი ამ ქვეყნის ყველაზე მდიდარი ნაწილია და სახელმწიფოს ხაზინას ყველაზე მეტ შემოსავალს აძლევს (აღმოსავლეთ ნიგერიაში განლაგებულია ნავთობის უმდიდრესი საბადოები, რომელებსაც ექსპლოატაციას უწევენ ამერიკისა და ინგლისის ნავთობის მონოპოლიები).

ნიგერიის ყველა ოლქის სამხედრო ხელმძღვანელთა მთელ რიგ შეხვედრებსა და თათბირებს უთანხმოების მოწესრიგების მიზნით, პრაქტიკულად არავითარი შედეგი არ მოსულოლა. ამ ბოლო დღეებში ვითარება ნიგერიაში იმდენად გამწვავდა, რომ ფედერაციული სამხედრო მთავრობის მეთაური პოდპოლკოვნიკი გოვონი იძულებული იყო გამოეცხადებინა საგანგებო წესები. ამავე დროს გამოქვეყნდა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც ნიგერია იყოფოდა 12 შტატად დღემდე არსებული ოთხი ოლქის ნაცვლად.

ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ რა შედეგები მოჰყვება აღმოსავლეთ ნიგერიის ლიდერთა ამ აქციას. ერთი რამ კი ცხადია, რომ ნიგერიაში ახლა შფოთიანი დღეებია.

ᲣᲤᲝᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲛᲑᲠᲘᲝᲜᲘ ᲜᲘᲒᲔᲠᲘᲐᲨᲘ

საგჭოთა გალეტის ტრიუმფი

ბონი, 31 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. სეროვი გვატყობინებს: გუშინ მიუნხენის ოპერის სცენაზე დიდი თეატრის სამასვეტი კოლექტივმა წარმოადგინა საკონცერტო პროგრამა, რითაც დაამთავრა ათი დღის გასტროლები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. „დიდი ბალეტი“, როგორც აქ უწოდებენ ჩვენს სამალეტო დასს, საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში გამოვიდა დასავლეთ გერმანიის სამ ქალაქში — კელნში, ვისბადენსა და მიუნხენში.

„რუსების გიგანტურ ფარმატებაზე“ წერს მიუნხენს „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“. გაზეთის აზრით, ოდეტას, რაიმონდასა და მომგკვდავი გედის როლებში მაია პლისეცკაიას „ახლა საგბვთა კოხკურენტი კყავდეს მსოფლიოში“. „მისი ცეკვა, — წერს პლისეცკაიას შესახებ მეორე რეცენზენტი, — ნამდვილი ესთეტიკური სასწაულია, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი სრულყოფილი არტისტიზმის ფარგლებს. იგი მსოფლიო მნიშვნელობის ბალერინაა“.

• მსოფლიო ფოტოობიექტივში •

ცაში ისევ გამოჩნდნენ მტრის თვითმფრინავები. საჰაერო განგაშია! ქალაქის მცხოვრებლები — დიდი და პატარა თავშესაფარისაკენ მიეშურება. თავშესაფარში ზის ეს პატარა ბიჭუნაც, რომელსაც თქვენ პირველ სურათზე ხედავთ. ასეა თითქმის ყოველ დღე. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი ჰანოი ამერიკის ავიაციის განუწყვეტელ თავდასხმებს განიცდის. მაგრამ როგორც კი წყდება საჰაერო განგაში, წამსვე ცოცხლდება ქალაქი: მუშაობას განაგრძობენ საწარმოები, დაწესებულებები, ვაჭრობენ მაღაზიები, ბევრი ხალხია ქუჩებში, სკვერებში, პარკებში. ზემო მარჯვენა სურათზე თქვენ ხედავთ მოსეირნე ჰანოელ ახალგაზრდებს დაბრუნებული მამალის ტბის პირას. ქვემო მარცხენა სურათზე კი აღბეჭდილია აგრესორთა ერთ-ერთი თავდასხმის ფინალი. თხუფონგის თემი ზღვის დონიდან 1700 მეტრზე, ჯუნგლებში მდებარეობს. მაგრამ ჰაერის მეკობრენი არც მის მშვიდობიან მოსახლეობას ინდობენ. სახალხო რაზმელებმა ჩამოაგდეს ორიდან ერთი თვითმფრინავი, რომლებიც მთის გზაზე სატვირთო ავტომანქანებს დაესხნენ თავს. ამერიკელი მფრინავის ნეშტი გლეხებმა სოფლის პირას დამარხეს და ასეთი წარწერა გაუკეთეს საფლავს: „თხუფონგელ მოლაშქრეთა მიერ ჩამოგდებული ამერიკელი მეკობრე“...

ეს უშიშარი „მხედარი“ მონდოლეთის დაბა ულან-ულას ნორჩი მკვიდრია. ხუბსუგულის აიმაკი მონდოლეთის ტაიგის უკიდურესი რაიონია. აქ ჩრდილოელ მეზობელთა მსგავსად ფართოდ არის განვითარებული მეირმეობა.

სოლიდარობა მოქმედებაში!

თბილისი ინტერნაციონალური მოვალეობისადმი ერთგული საბჭოთა ხალხი სულ უფრო აძლიერებს ლათინური ამერიკის ქვეყნების პატრიოტთა ბრძოლასთან სოლიდარობის კამპანიას, მოითხოვს იმ პოლიტპატიმართა განთავისუფლებას, რომლებიც ვენესუელის, კოლუმბიის, გვატემალის, პანამის, ჰონდურასის, პარაგვაის, პანამის, ბოლივიის, პერუს ციხეებში იტანჯებიან.

რამდენიმე დღეა, რაც ჩვენს ქვეყანაში იმართება სოლიდარობის მიტინგები. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, ხაბაროვსკში და სხვა ქალაქებში იღებენ რეზოლუციებს, რომლებშიც საბჭოთა ადამიანები მოითხოვენ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ გუსტავო და ედუარდო მაჩადოები, ანტონიო მაიდანა, ხულიო რობსანი, ალფრედო ალკორტა, უმბერტო რამირესი და ლათინური ამერიკის პროგრესული ძალების სხვა თვალსაჩინო მოღვაწეები.

თვითეულ ამ ამხანაგს დიდი და ძნელი ცხოვრება აქვს გავლილი: ბრძოლა თავისი ხალხის ინტერესებისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის, ამერიკის მონოპოლიების ძალადობის წინააღმდეგ.

ვერც დევნამ, ვერც საპყრობილეებმა, ვერც გადასახლებამ ვერ გატეხა მათი სიმტკიცე, ვერ წაართვა მუშათა კლასის საქმის სამართლიანობის რწმენა. მიუხედავად ტერორისა რეაქციული რეჟიმების მხრივ, რომლებსაც ჩრდილოეთ ამერიკის მონოპოლიები უჭერენ მხარს, ლათინური ამერიკის კომუნისტური და მუშათა პარტიები გმირულად იბრძვიან თავიანთი ქვეყნების თავისუფლებისათვის, ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის. ხალხის მასები სულ უფრო მეტიდროდ ირაზმებიან კომუნისტების — მუშათა კლასის საქმისათვის ყველაზე ერთგული, ყველაზე თანმიმდევრული მებრძოლების გარშემო.

ასუნსიონიდან, კარაკასიდან, ლიმიდან, ბოგოტადან, ლა-პასიდან და კონტინენტის სხვა დედაქალაქებიდან მიღებული უკანასკნელი ცნობები მოწმობენ, რომ პოლიტპატიმართა მდგომარეობა კვლავ მძიმეა. ბევრი მათგანი მოკლულია სამედიცინო დახმარებას, ბევრს უკრძალავენ გაზეთებისა და წიგნების წაკითხვას, აკრძალულია ნათესავების ნახვა. ლათინური ამერიკის ქვეყნებში ფართოდდება ბრძოლა პოლიტპატიმართა განთავისუფლებისათვის.

საბჭოთა ადამიანები სრულ სოლიდარობას უცხადებენ ამ ბრძოლას. ლათინური ამერიკის მთელ პროგრესულ ძალებთან ერთად ისინი მოითხოვენ:

— თავისუფლება ანტონიო მაიდანას, ედუარდო და გუსტავო მაჩადოებს! თავისუფლება გვატემალის, პანამის, ჰონდურასის, პარაგვაის, კოლუმბიის, ბოლივიის, პერუს პოლიტპატიმრებს!

პროლეტარული სოლიდარობის მოძრაობას საუცხოო და საბრძოლო ტრადიციები აქვს ამ მოძრაობას აქვს დიდი გამარჯვებებიც: საპყრობილიდან განთავისუფლებული არიან ხესუს ფარია, ჰილბერტო ვიეირა, პეტრო სადი, ელიი ტორესი, ენრიკე ჰილ-ჰილბერტ და სხვა ამხანაგები.

ამ მოძრაობას შეუძლია მიაღწიოს და კიდევაც უნდა მიაღწიოს იმათ განთავისუფლებას, ვინც ჯერ კიდევ იტანჯება ლათინური ამერიკის ციხეებში.

ქვემოთ ვბეჭდავთ ვენესუელის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ამხ. ხესუს ფარიას განცხადებას.

თავისუფლება სახელოვან პატრიოტებს!

ᲕᲔᲜᲔᲡᲣᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲝᲑᲐ

ᲐᲛᲮ. ᲮᲔᲡᲣᲡ ᲤᲐᲠᲘᲐᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲝᲑᲐ

ვენესუელი პოლიტიკურ საპყრობილეებში გამომწყვდეულია ათასობით ჩვენი ამხანაგი — მათ შორის ქალები და ბავშვები. მრავალი წელია დილეგებში იტანჯებიან კომპარტიის ხელმძღვანელი მოღვაწეები — ვენესუელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები გუსტავო მაჩადო და ფრედი მუნიოსი, რომელიც ამასთანავე ვენესუელის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის გენერალური მდივანია.

საბჭოთა კავშირში ფართოდება ტალღა ასობით კომუნისტისა და პროგრესული მოღვაწისადმი სოლიდარობისა, რომლებიც მრავალი წლის წინათ ჩაყარეს ციხეში ბეტანკურის და ლეონის მთავრობებმა. ამ სოლიდარობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ვენესუელელი ხალხის ბრძოლისათვის.

ამჟამად ვენესუელაში მზადდება უაღრესად რეაქციული კანონები, რომელთა მიხედვით სამხედრო სასამართლოების იურისდიქციაში ექცევიან სამოქალაქო პირები. ანგარიშის გასწორების საფრთხე დაემუქრა ხუთას პატიმარს, მათ შორის გუსტავო მაჩადოს და მის ძმას ედუარდოს, რომელიც აგრეთვე ვენესუელის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. ორივენი ეროვნული კონგრესის ყოფილი დეპუტატები არიან. სამარცხვინო კანონპროექტი, რომლის მიხედვით ბრალდებულებს ერთმევათ დაცვის ყოველგვარი შესაძლებლობა და ისინი სამხედრო სარდლობის მიერ ჩრდილოეთ-ამერიკელ მრჩეველთა მეთვალყურეობით შეთითხნილი, წინასწარ დაშტამპული განაჩენების მსხვერპლი ხდებიან. არღვევს ვენესუელის კონსტიტუციას და სასამართლო გარჩევის ელემენტარულ პროცესუალურ ნორმებს.

მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი არიან ისეთი უდრეკი კომუნისტები, როგორიც გუსტავო მაჩადოა. ამ მამაც რევოლუციონერს, მის უსაზღვრო გულადობას იცნობენ არა მარტო ვენესუელაში, არამედ კუბაშიც, სადაც იგი იბრძოდა კუბის კომპარტიის დამაარსებლის ხელით ანტონიო მელიას მხარდამხარ, ნიკარაგუაში, სადაც იბრძოდა სანდინოსთან ერთად, მექსიკაში და კონტინენტის ბევრ ქვეყანაში.

სახელოვან პატრიოტს. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი იდეების ერთგულ ადამიანს 1914 წლიდან სდევნიან. იგი არაერთხელ დაუმწყვდევიათ ციხეებში და გაუსახლებიათ ვენესუელიდან მრავალი წლით.

და სამოცდაათ წელს მიღწეული ამხანაგი გუსტავო დღეს კვლავ 4 წლით ჩასვა ციხეში ლეონის მთავრობამ. იგი „მსჯავრდებულ“ იქნა გაუსამართლებლად და ახლა სამხედრო ტრიბუნალის მიერ ანგარიშის გასწორება ეშუქრება.

სამეგობროში, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში, წარმოებს კეთილშობილური კამპანია ამხანაგ გუსტავო მაჩადოს და ციხეებში გამომწყვდეული სხვა ვენესუელელი კომუნისტების განთავისუფლებისათვის. ჩვენს შორეულ, მხურვალედ საყვარელ სამშობლოდან აღწევს ამაღელვებელი ცნობები ამ ადამიანური სოლიდარობის შესახებ. ჩვენი ხალხი დიდად აფასებს ყოველივეს, რაც მსოფლიოში ხდება იმისათვის, რომ ვენესუელის პოლიტიკური ციხეებიდან განთავისუფლებულ იქნან მისი სახელოვანი ხელმძღვანელები და მებრძოლები, რომლებიც მძევლებად ჰყავს პროიმპერიალისტურ მთავრობას.

ჩვენი მხრივ ჩვენ, ვენესუელის კომუნისტები, მთელ ჩვენს ხალხთან ერთად ვიღებთ მონაწილეობას სოლიდარობის ამ კეთილშობილურ მოძრაობაში, რომლის მიზანია პარაგვაის, პაიტის, კოლუმბიის ციხეებში გამომწყვდეულნი და დევნილი ამხანაგებისა და ძმების, აგრეთვე ამერიკისა და მსოფლიოს სხვა ჩაგრულ და ექსპლოატირებულ ხალხთა წარმომადგენლების განთავისუფლება.

ვენესუელელი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმათ, ვინც მეგობრულ ხელს გვიწვდის ჩვენი თავისუფლებისათვის მებრძოლამს. და ეროვნული განთავისუფლების, პროგრესისა და ყველგან მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩვენი პარტიის უფროსი ძმის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ შთაგონებული საბჭოთა მშრომელების ეს კეთილშობილური მოძრაობა კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა ხალხისა და ვენესუელელი ხალხის ურღვევ მეგობრობასა და მტკიცე საბრძოლო სოლიდარობას.

(

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმური ურთიერთობა

შეიქმნა საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილება

31 მაისს თბილისში გაიმართა საზოგადოებრივობის კრება, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების შექმნას. წინადადება ამ საზოგადოების განყოფილების შექმნის შესახებ ამ ცოტა ხნის წინათ წამოაყენეს კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა, უცხო ენათა პედაგოგიურმა ინსტიტუტმა, უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტმა, მეოთხე საშუალო სკოლამ, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ინტერნაციონალურმა კლუბმა და მთელმა რიგმა სხვა საწარმოებმა, დაწესებულებებმა და სასწავლებლებმა. ამ იდეას ფართოდ დაუჭირეს მხარი.

კრებაზე, რომელიც ხაინიციატივო ჯგუფმა მოიწვია საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში, მოვიდნენ თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები, მოწინავე მუშები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები. სტუმრებს შორის იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ჰორსტ ბეტნერი, საელჩოს მრჩეველი კარლ ზაიდელი, საელჩოს მეორე მდივანი ფრიც ვოლფი, ატაშე მანფრედ მეცნერი.

დამფუძნებელთა კრება გახსნა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარემ ა. ა. გიგოშვილმა. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანები ამაყობენ თანამშრომლობისა და ძმური მეგობრობის ურთიერთობით, რომელიც სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დამყარდა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. დ. კუპრაძემ, რომელმაც თქვა, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების შექმნით ჩვენ ხაზს ვუსვამთ, თუ რამდენად მტკიცეა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა. კიდევ ერთხელ ვეუბნებით ჩვენს ძმებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში: იცოდეთ, რომ გაყავთ ერთგული მეგობარი, საიმედო მოკავშირე, რომლის იმედი ყოველთვის შეიძლება გქონდეთ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ პროფესორი მ. ა. კვესელავა, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი შ. ა. ფირცხალავა, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ვ. ა. ქოჩორაძე, უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი ხათუნა სიხარულიძე, უნივერსიტეტის დოცენტი ნ. მ. კაკაბაძე. ორატორებმა თქვეს, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების შექმნა დიდ წვლილს შეიტანს საქართველოსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურული თანამშრომლობის განვითარების საქმეში. საბჭოთა ადამიანები გამსჭვალული არიან ხალხთა მეგობრობის, მათი თანამშრომლობის, ურთიერთგაგების იდეებით, რომლებიც ჩვენი დიადი პუმანისტური იდეოლოგიის, ჩვენი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შესანიშნავი გამოხატულებაა.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის ასპირანტს ჰაინც ფენრიხს, ახალგაზრდა ქართველოლოგს, რომელიც ქართულ ენას სწავლობს თბილისის უნივერსიტეტში აკადემიკოს ა. გ. შანიძის ხელმძღვანელობით.

დამსწრენი ტაშით შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩს სსრ კავშირში ჰორსტ ბეტნერს, როცა მან სიტყვა წარმოთქვა.

— დიდი სიხარულით დავთანხმდით თქვენს თხოვნას მონაწილეობა მიგვეღო საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების შექმნაში. ამ ამბავს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ეს ახალი მაგალითი მოწმობს რომ სულ უფრო მტკიცდება ჩვენი ხალხების მეგობრობა.

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის სახელით ელჩი მიესალმა შეკრებილთ და თქვა, რომ უკვე საქართველოსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის არსებობს ნაყოფიერი ურთიერთობა, განსაკუთრებით კულტურის დარგში. მაგალითად მან მოიყვანა იენისა და თბილისის უნივერსიტეტების მეგობრობის ხელშეკრულება.

შემდეგ ჰორსტ ბეტნერმა თქვა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები საბჭოთა ადამიანებთან ერთად ემზადებიან დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსსაწყალისათვის, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მცხოვრები გერმანელები ბედნიერი არიან იმით, რომ შედიან ხალხთა დიდ სოციალისტურ ოჯახში.

დასასრულ ამბ. ბეტნერმა საქართველოს მშრომელებს უსურვა დიდი წარმატებანი საიუბილეო წელს.

კრების მონაწილეებმა მისალმება გაუგზავნეს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებას. კრებაზე წაიკითხეს მისალმებანი, რომლებიც გამოგზავნეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრმა პროფესორმა ჰანს როდენბერგმა და იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა, მეცნიერმა ქართველოლოგმა პროფესორმა პერტუდა პერშმა.

იმავე დღეს გაიმართა საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის სხდომა. გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. დ. კუპრაძე, თავმჯდომარის მოადგილეებად — პროფესორი მ. ა. კვესელავა, დოცენტები ვ. ა. ქოჩორაძე და ნ. მ. კაკაბაძე, პასუხისმგებელ მდივნად — საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების უფროსი რეფერენტი ვ. მ. კახნიაშვილი.

(საქდესი).

• • •

დრეზდენი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უძველესი და ულამაზესი ქალაქი. დრეზდენის ნორჩი მოქალაქეების საყვარელი ადგილია „ბრიულშე ტერასი", რომელსაც თქვენ სურათზე ხედავთ.

ოქტომბრის მონაპოვართა მესიტყვენი



სიჭაბუკის ძაღილი

აი თეთრი გალავანი გალმაც
გაუშენებიათ,
მოშრიალე ალვის ხეებს ბაღი
დაუმშვენებიათ,
გადმომდგარან აივნიდან ტანწერწეტი
დობილები.
წყალს ამაყად დაჰყურებენ
მკლავებგადაჯვდობილები...
...მღერის გული! დამშრიალებს
სიჭაბუკე ალვისტანა,
თუ ოდესმე გაგონილა სიხარული
ამისთანა!

რაზედაც უნდა იდავოს კრიტიკოსმა, ეს არის მჩქეფარე, მშვენიერი ლექსი. ეს არის პოეზია. იძთავითვე სიმღერად უნდა ქცეულიყო „სამჯერო", „ერთხელ ქალი მიმავალი", „ო, ეს შენ" და მრავალი სხვა სადა ლექსი მსგავსი სტილისა.

ალიო მირცხულავას პოეტურ ერუდიციას არ სჭირდება მწიგნობრული შაბლონი, „ყრუ სიტყვებით ნაწერი ქაღალდები". ეს არის ფარული სითბო, ნიჭით სმენიმსილი ერუდიცია, გამოხატული მისსრაფებათა ლირიკით, სიცოცხლის ხალისისა და სიყვარულის ჰიმნით.

მისი სიყვარული უფრო სპეტაკი, სათუთი გრძნობაა, ვიდრე ხორციელი და ვნებით ანთებული. ეს ხელწამოსაკრავი თემა როდია, და პოეტიც სიყვარულზე მოკრძალებით, სიფრთხილითაც კი წერს. მხოლოდ ათასში ერთხელ თუ გაიხსენებს პირველ კოცნას, ნიავმა რომ ქვეყანას მოსდო, ან შეკავებული დიმილით ეტყვის სატრფოს:

არ გეგონოს: შენ გაწვალებს გარეწარი
ქარი,
არა, მე ვარ, გენაცვალე, ლექსის
ჯადოქარი!

სიყვარული გამაკეთილშობილებელი გრძნობაა. პოეტი ტაძარია სიყვარულისა და სატრფო კი — თეთრი კეთილტაძარი, ამ ტაძარში რომ ანთია.

სიყვარულით უმღერის ალიო სამშობლოს, მის ცასა და მიწას, ზღვასა და ხმელეთს. მური უბერდა მარწუხებს დასახრჩობად, დღეს კი იქ „მანდარინების, ნარინჯების დგას ალითონი". ყველაფერი წინ მიდის, პოეტი ამ წინსვლის მომლერალია, მხოლოდ გამბრწყინლის, დედის მოგონება გამოაყოლია სევდად.

სინათლეში შობილს თითქოს თავიდანვე სინათლის ტრფიალი უტრიალებს გულს. ამიტომ ვეთანხმებით პოეტს, რომელსაც ჯერ კიდევ 1923 წელს უთქვამს:

ალიო ჩემო, დაილოცე გზები ბედისა,
ალიო ჩემო, ცეცხლი იყოს შენი
მფარველი!

შემოქმედი შუდამ იზიარებს გზის გამეფებას ვეფრს. ამ გზაზე დიმილთან ერთად ბევრი ცრემლიც დაღვრილა. ყოველი მაშვრალის სათქმელია გამოხატული ლექსში „ტკივრი გულისა".

იცი, რა მძიმე ტკივრთი დამეცა,
რას უძლებს გულის ღელვა, ძიება?
სცადეთ, ასწიეთ ეს დედამიწა
და მაშინ გმინვაც გეპატიებათ.

ამ სიტყვებით იხურება „სიჭაბუკე მეძახის"...

კვლავ არასოდეს არ ყოფილა პოეტის საქმე, მაგრამ თუ ოდესმე კვნესა დასცდენია, იმასაც დარდობს: „მეპატიება, ხანდახან ტკივრთქვენ თუ დამიკვნესია".

მწერლის ტკივრთი, თუ მან იცის, რას წერს, დედამიწის აწევას ეძებდა. დედამიწის აწევა ყველანაირი სეირნობა როდია, ამიტომ ღელვს ოპტიმისტური წამოძახილი სარწმუნოდ: „სცადეთ, ასწიეთ ეს დედამიწა და მაშინ გმინვაც გეპატიებათ". ეს არის ყამირის გაბრწყინთა სიტყვა.

ლირიკოსი მაღალ საზოგმეს ითხოვს. მისი სტიქია მზის სამეფოში ლტოლვაა, მისი მეგზურებია მერცხლები, მისი დევიზი — უშანობი სიჭაბუკე.

პოეტი მშობლიური პოეზიის მარტოოდენ პატიოსანი მუშა როდია, რომელიც ტკივრთა მიიტანს, დადებს და გაბრწყდება, არამედ ამ პოეზიის ფუტკარია, რომელიც საკუთარი გულითა და გონებით შეიწოვს შოთას ქვეყნის ენას და პოეზიას, საკუთარი სხეულით ატარებს სიმინარეს, ბუნებრივ ფერებს ბაღნარ-ბაღნარ ბოლოდდე. ბუნდოვანი ფრაზების კორიანტელს იმთავითვე არჩია ნათელი სტილი, და ეს ისევე სწორია პოეზიაში, როგორც მსატვრობაში ფორმალისტური რებუსების წინააღმდეგ. ალიო მირცხულავა ერთი პირველთაგანია საბჭოთა პოეტებს შორის, რომელმაც მთელი ხმით უმღერა ოქტომბრის მონაპოვარს, სიძლიერეებისა და წარმატებების ცეცხლის ქურაში გამოატარა თავისი სიტყვა, ნათელი პოეზიის სვეტადაღი ალამი და მგზნებარე კომკავშირული სიჭაბუკის ლაღი სიმღერა, რაზეც თაობები იზრდებოდნენ. სწორედ ის მჩქეფარე სიჭაბუკე ეძახის ჩვენს ჭარმაგ მგოსანს და ისიც თავისი ფრთიანი სიტყვით ეხმიანება ბრძოლით აღებული პოეტური სიმაღლეებიდან.

მგოსნის გული კვლავ ახალგაზრდულად ფეთქავს, კვლავ შემორჩენია ცეცხლის ხმა და ცეცხლის ფერი, არ ბერდება სიცოცხლე და სილამაზე... ამ ნათელი ოპტიმიზმის გარდა ამ ლექსები საგულისხმოა იმითაც, რომ თავისებური კუთხით განაცდევინებენ მკითხველს უჩვეულო მშვენიერების მზედადუვალობას.

მუდამ პაეროვანი, მსუბუქი რითმითა და სიტყვის თამაშით დამშვენებული მოზაიკაა ალიო მირცხულავას ლექსი. მახსოვს, გერმანელ პოეტთა დიდ ჯგუფთან შეხვედრაზე ალიომ თავისი „ვეფხვი" წაიკითხა. სიტყვები ესმოდათ კუბას, მარხვიცას, ციმერინგს, მაგრამ ვხედავდი, რა აღტაცების ღიმილით ეტყვებოდნენ ვერხვის ფოთლებივით მთრთოლვარე სიტყვის თამაშს, რითმას, პოეტური ფანტაზიის მსუბუქ ისრებს, რომლებსაც ყოველი პოეტი შეიცნობს, მისთვის უცხო რა ენაზეც უნდა წაიკითხონ ლექსი. „ეს პოეტი ფანტერტის ცეცხლოვან სახეს მომაგონებს",— თქვა მერე კუბამ.

ალიოს სახის მკრთალი ჩრდილია მისი პოეტრეტი. ეს სახე ღვიძის, თითქოს ფეროვან ოფეზს შინაგანი პოეტური ცეცხლი შემონთებია. ასეთია მისი პოეზიაც. სარეცენზიო ანრგულის სახელწოდება „სიჭაბუკე მეძახის" ბეგრის მეტყველია. სიბერე? რომელი სიბერე?...

ვერ შემაკრთო დროთა ბრუნვამ,
ელვის ხმამაც.
მეც მიყვარდა, მხოლოდ მისთვის
მიძგერია,
მე, ამდენი ჭაბუკური ლექსის მამას,
ნუთუ მართლა დაბერება მიწერია?

ასე ბუბუნებს, ასე ბორგავს ღვაწლმოსილი მგოსანი და სიტყვას ნებისყოფაც ამოსდგომია ვეფრში. ბუნებრივია მისი წამომძახილი: „ჩემი ტკივილი გაგიგონიათ, სასოწარკვეთა კი რასაოდეს". სევდა და ტკივილი ყოველი ადამიანის ხვედრია. მაგრამ მთავარია ქედი არ მოიხაროს, ეძიოს, ბოლომდე მზის და მშვენიერი სიცოცხლის მომლერლად დარჩეს სიტყვის ოსტატი.

ალიო ამ მხრივაც შუბლნათელია. რაც არ უნდა იყოს პოეტის თემა — ხორგა, ქუთაისი, საქართველოს თვალი —სვანეთი", ბრძოლის ველი, ზეცა თუ დედამიწა, — ყველგან იგრძობა გულწრფელი სიყვარული მშობელი ქვეყნისა და ყოველი სიკეთისა, რაც ამ ქვეყანას შეგვიტანს, ამაღლებს. ფერთა სხვადასხვაობითაც ვარჩევთ, სად ვის სტუმრებია: გურიას, ზიან ზაკურიანს, ჯახეთის ბაღნარს, მგოსანთა ავანგს — ქუთაისს თუ მომმე უკრაინას — პოეტი ყველგან არის ლაღი, ხალასი, თავისეური, რომელსაც დაკეთებული მკითხველი ერთი სტროფითაც იცნობს.

შეტად ბევრი ყვავილია მისი სიჭაბუკის ბაღში. ყვავილი და აგური, არა დენთი და ხმელთა ნამუსრეკი. ბუდნიერ დროში იშვა ეროვნების საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გიგოშვილმა. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანები ამაყობენ თანამშრომლობისა და ძმური მეგობრობის ურთიერთობით, რომელიც სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დამყარდა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. დ. კუპრაძემ, რომელმაც თქვა, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების შექმნით ჩვენ ხაზს ვუსვამთ, თუ რამდენად მტკიცეა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა. კიდევ ერთხელ ვეუბნებით ჩვენს ძმებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში: იცოდეთ, რომ გყავთ ერთგული მეგობარი, საიმედო მოკავშირე, რომლის იმედი ყოველთვის შეიძლება გქონდეთ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ პროფესორი მ. ა. კვესელავა, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი შ. ა. ფირცხალავა, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ვ. ა. ქოჩორაძე, უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი ხათუნა სიხარულიძე, უნივერსიტეტის დოცენტი ნ. მ. კაკაბაძე. ორატორებმა თქვეს, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების შექმნა დიდ წვლილს შეიტანს საქართველოსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურული თანამშრომლობის განვითარების საქმეში. საბჭოთა ადამიანები გამსჭვალული არიან ხალხთა მეგობრობის, მათი თანამშრომლობის, ურთიერთგაგების იდეებით, რომლებიც ჩვენი დიადი პუმანისტური იდეოლოგიის, ჩვენი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შესანიშნავი გამოხატულებაა.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის ასპირანტს ჰაინც ფენრიხს, ახალგაზრდა ქართველოლოგს, რომელიც ქართულ ენას სწავლობს თბილისის უნივერსიტეტში აკადემიკოს ა. გ. შანიძის ხელმძღვანელობით.

დამსწრენი ტაშით შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩს სსრ კავშირში ჰორსტ ბეტნერს, როცა მან სიტყვა წარმოთქვა.

— დიდი სიხარულით დავთანხმდით თქვენს თხოვნას მონაწილეობა მიგვეღო საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების შექმნაში. ამ ამბავს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ეს ახალი მაგალითი მოწმობს რომ სულ უფრო მტკიცდება ჩვენი ხალხების მეგობრობა.

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის სახელით ელჩი მიესალმა შეკრებილთ და თქვა, რომ უკვე საქართველოსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის არსებობს ნაყოფიერი ურთიერთობა, განსაკუთრებით კულტურის დარგში. მაგალითად მან მოიყვანა იენისა და თბილისის უნივერსიტეტების მეგობრობის ხელშეკრულება.

ერთ აფორისტულ თქმაში იგი ამბობს: „ჯანა მდინარის ნელი მდოვრება, მღელვარე ზღვაა ჩვენი ცხოვრება". ცხოვრების ამ მღელვარე ზღვაში „რომ ემსახურის ხალხს და ცხოვრებას, ერთი სიცოცხლე აღარ ეყოფა" პოეტს და ამიტომაც ნატრობს სიჭაბუკის გახანგრძლივებას.

ალიო მირცხულავა არ არის სევდის პოეტი, ამიტომ მეგობარს სთხოვს — ნუ გაგახსენებ სიჭაბუკესო. მართალია, „ყინვარს დამსგავსებია, მაგრამ მერე რა? „მწყურვალს მუდამ ადრე ათოვს, მით უფრო თუ მაღალია". ეს მოსდენილი პოეტური ხუმრობა დიდ სიმართლესაც შეიცავს.

აკაკი გელოვანი,

„საქართველო" მოსკოველთა მასპინძელი

რესტორანი „საქართველო" მონაწილეობას მიიღებს ეროვნული კერძების დათვალიერება-კონკურსში

შარშანწინ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტმა, სახელმწიფო ვაჭრობისა და მომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, საზოგადოებრივი კვების შემდგომი განთავრებისა და გაუმჯობესების მიზნით მოაწყეს მოკავშირე რესპუბლიკების რესტორანების, სასადილოების, კაფეებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება. ამ მიზნით მოსკოვში საქართველო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე 1965 წლის 22 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე გახსნილი იყო მოკავშირე რესპუბლიკების რესტორანები, რომლებიც ხალხურ ფერებით და მხოლოდ ეროვნული კერძებით ვაჭრობდნენ. რესტორან „საქართველოს" კოლექტივმა მაშინ დიდი ინტერესი გამოიჩინა. წელს რესტორანი „საქართველო" კვლავ მოწვეულია მეორე საკავშირო დათვალიერება-კონკურსზე.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი შეხვდა ქალაქ თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტების სამმართველოს უფროსს **ივანე ბოყერიას** და სთხოვა. ეამბნა საიუბილეო წელს საკავშირო დათვალიერება-კონკურსში რესტორან „საქართველოს" მონაწილეობის შესახებ.

— ქართული სტუმართმოყვარეობა ოდითვეა განთქმული, — თქვა ი. ბოკერიამ, — მაგრამ ქართველი კაცი მარტო იმით კი არ ხიბლავდა სტუმარს, რომ სუფრაზე უხვად მიართმევდა ღვინოსა და ხურსთ-სანოვაგეს. ხიბლავდა უწინარეს ყოვლისა ის გულთბილობითა და სიყვარულით, რომელიც მას ბუნებით მოსდგამს. სწორედ ამ მამაპაპური სტუმართმოყვარეობით იზიდავდა მრავალრიცხოვან ეროვნებათა წარმომადგენლებს რესტორანი „საქართველო", რომელიც მოსკოვში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა ტერიტორიაზე იყო შორშანწინ გახსნილი, რათა მონაწილეობა მიეღო საუკეთესო რესტორანების, სასადილოებისა და კაფეების კონკურსში.

მრავალი მოსკოველი მოდიოდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექციაში. ისინი სუფრის გამოთქვამდნენ, რომ რესტორან „საქართველოსათვის" რამდენიმე დღით გაეგრძელებინათ მუშაობის ვადა. გამოფენის დირექციამ ასეთი თხოვნით მიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტს. „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე წარდგენილ ექსპონატთა შორის დიდი წარმატება ხვდა რესტორან „საქართველოს". ვითვალისწინებთ რა გამოფენის დამთვალიერებელთა მრავალ თხოვნას, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექცია გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რომ რესტორან „საქართველოს" კიდევ 7 დღით გაუგრძელდეს მუშაობის ვადა".

26 აგვისტოს გაზეთი „იზვესტია" წერდა: „ქართული ეროვნული სამზარეულო ისე მრავალფეროვანი და შესანიშნავია, რომ რეკლამა არ ესაჭიროება. სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დამთვალიერებელი განცვიფრდება რესტორან „საქართველოში" შესვლისას მომსახურების მაღალი კულტურით". სწორედ კულტურული მომსახურება, ქართული ეროვნული კერძების გემო იყო სხვათა შორის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ორი კვირით გახსნილი რესტორანი „საქართველო" სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა ყურადღების ცენტრში მოექცა. ამაში ნათლად მაშინ დარწმუნდებით, როცა გადათვალიერებთ შთაბეჭდილებათა ორ დიდ წიგნში ჩაწერილ სტრიქონებს. ამ გულთბილი სტრიქონების ავტორები არიან სხვადასხვა პროფესიისა და ეროვნების ადამიანები როგორც ჩვენი თვალწუდვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან, ისე საზღვარგარეთიდან.

ჟიურის გადაწყვეტილებით მაშინ რესტორან „საქართველოს" კოლექტივმა დამსახურებლად დაიკავა პირველი ადგილი. რესტორანის კოლექტივს აგრეთვე გადაეცა პირველი ხარისხის დიპლომი და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს დიდი მედალი. კოლექტივის ათი წევრი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვეს, მრავალმა მუშამ მადლობა, სიგელები და ფულადი პრემიები დაიმსახურა.

რაც შეეხება მეორე საკავშირო დათვალიერება-კონკურსს, რომელიც ამ საიუბილეო წელს იმართება, — განაგრძო ი. ბოკერიამ — იგი უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. დათვალიერება-კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ როგორც მოკავშირე რესპუბლიკების, ისე მოსკოვისა და ლენინგრადის საზოგადოებრივი კვების ობიექტები.

რესტორანი „საქართველო". საზოგადოებრივი კვების საუკეთესო ობიექტები სომხეთიდან, ეზრობაიჯანიდან, ყირგიზეთიდან და მოსკოვის კაფე „ხრუსტალნოე" სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე იმუშავებენ 1 ივნისიდან 28 ივნისამდე. ეკვს გარეშეა, რომ საიუბილეო წელს კონკურსის ყველა მონაწილე ეცდება განსაკუთრებით კარგად მოამზადოს ფარსდგეს ამ დათვალიერებაზე.

დათვალიერება-კონკურსის მონაწილის რესტორან „საქართველოს" შტატი ძირითადად დაკომპლექტეტი იქ მუშაკებით, რომლებიც მონაწილეობდნენ 1965 წელს გამართულ დათვალიერება-კონკურსში. ესენი არიან ქართული კერძების შესანიშნავი ოსტატები გ. გაგნიძე, ი. გუგუშვილი, ი. ჩხაიძე, ა. მეკაია, გ. გელოვანი შვილი, ნ. კოზანაშვილი, ე. ლორცულიანი, გ. ნაცვლიშვილი, გ. ხიხამბარელი, ო. მაისურაძე, რომლებსაც შეეფშაროვნელი, ცნობილი კულინარი მიხეილ სამხარაძე ხელმძღვანელობს. მომტანთა ბრიგადებს უხელმძღვანელებენ ადმინისტრატორები გ. სხირტლაძე, გ. გოკესაძე და ვ. სხირტლაძე.

დათვალიერება-კონკურსისათვის შეკადგენეთ საციალური მენიუ, რომელიც სამოცეზე მეტი დასახელების ქართული ეროვნული კერძი შეეიდა. მათ შორის საცივი, ნადღული, ხაჭაპური, ხარჩო, წიწილის ტაბაკა, ჩახოხბილი და სხვ. აგრეთვე საფირმო კერძები: სულგუნ „არმატუული", „ბუვადი -„ფუნაზორა", ქართულად შემზადებული სუბეები ნიგვზით და სხვ.

დათვალიერება-კონკურსის მონაწილეთათვის პროფესიების მიხედვით ჩავატარეთ სემინარები, შეეეუკერეთ სპეციალური ტანსაცმელი ქართული ეროვნული ტიპი. მოსკოვში გავგზავნეთ ქართული ღვინოები, კონიაკები, შამპანურები, მინერალური და გამაგრილებელი წყლები. აგრეთვე გავგზავნეთ დაშლილი ქართული თორნე, რომელიც უკვე აიწყეს და დადგეს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე. ამ თორნიდან მომზარაგდება რესტორანი „საქართველო" ქართული პურით. რესტორანი გაფორმებულია თბილისის მთავარი მხატვრის ოთარ ლიმანიშვილის მიერ. გაიგზავნა ბუფეტი: ქართული ეროვნული ხელოვნების ქმნილებები, სასმისები, დოქები, ჭინჭილები და სხვ. დამეტდილია ლამაზად გაფორმებული სპეციალური მენიუ და რეკლამები.

ჩვენ ისიც გავითვალისწინეთ, რომ 1965 წელს მოწყობილ დათვალიერება-კონკურსზე რესტორან „საქართველოში" უკმრავი მომხმარებელი მოდიოდა. ისინი დაინტერესებული იყვნენ ქართული ეროვნული კერძების რეცეპტებით და დამზადების ტექნოლოგიით. ამ საკითხებზე მათ ახსნა-განმარტებას აძლევდა უფროსი ინჟინერ-ტექნოლოგი ნონა მჭედლიშვილი. წელს კი კონსულტაციასთან ერთად მომხმარებელს მივაწვდით ლამაზად გაფორმებულ დაბეჭდილ ფურცლებს, რომლებშიც დაწერილია ქართული ეროვნული კერძების შეხვევის რეცეპტები.

იმედი გვაქვს, — თქვა ინტერვიუს დასასრულს ი. ბოკერიამ, — ჩვენი ქართული სუფრა და კულინარიული ხელოვნება კვლავ გამოიჩენს თავს და დათვალიერება-კონკურსის დღეები ხალხთა მეგობრობის ნამდვილ ზეიმად გადაიქცევა.

მეექვსე ტრადიციული

კარბი ტრადიცია დამკვიდრდა ქ. თბილისის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო პროფტექნიკურ სასწავლებელში. აქ ყოველწლიურად იმართება პედაგოგიური კონფერენციები. გასულ სასწავლო წელს აქაურმა პედაგოგებმა თავიანთ ორდღიან კონფერენციაზე იმსჯელეს ძნელად აღსაზრდელ ბავშვებზე. ამ დღეებში კი თოიძელებმა პედაგოგიურ კონფერენციაზე, რომელიც მოეწყო დეკემბრით „უკეთ აღზარდოთ მომავალი თაობა, კომუნიზმის აქტიური მშენებლები და მოქალაქეები", მოიწვიეს თბილისის პროფტექნიკური სასწავლებლების პედაგოგები, აღმზრდელები, საწარმოო სწავლების ოსტატები და მათთან ერთად მსჯელობდნენ შრომითი ესთეტიკის საკითხებზე.

მომხსენებელთა შორის იყვნენ: არქიტექტორები, მხატვრები, ინჟინრები, ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტები, საწარმოო სწავლების ოსტატები.

ს. ჭელენტი,
დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში.

დაინტერესებული გაეცნობენ

ბუშინ, 31 მაისს, დილით ადრე ქუჩებში შეამჩნევდით მოსწავლისფორმიან ქალაშვილებსა და ბიჭებს, რომლებიც სწრაფი ნაბიჯით მიეშურებოდნენ მშობლიური სკოლებისაკენ. რესპუბლიკის დაწყებითის, რვაწლიან, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო, შრომითის პოლიტექნიკურ, საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ სკოლებში დაიწყო გადასაყვანი, დამამთავრებელი და საშუალო განათლების ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები. კვლავ ახმაურდა სკოლების ეზოები, დერეფნები, საკლასო ოთახები.

ამ დღეს ათასობით მეათე-მეთერთმეტეკლასელი პიუჯდა მერხს და დაიწყო საგამოცდო წერა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში.

82 მეათეკლასელი აბარებდა საგამოცდო წერას ქართულ ენასა და ლიტერატურაში თბილისის ლ. ბოცვაძის სახელობის 58-ე საშუალო სკოლაში. დილის 9 საათია. ბავშვები სხედან, მაგრამ ემჩნევათ, რომ ღელავენ, თითქოს ღელავენ პედაგოგებიც. აი სკოლის დირექტორმა, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარემ ვ. ლომსაძემ გახსნა ბეჭედი, რომელშიც მოთავსებულია საგამოცდო თემები. პედაგოგები ზინაიდა ხონელიძე და ელისაბედ ვახვახიშვილი დაფაზე წერენ თემებს: „პატრიოტიზმისა და მეგობრობის იდეები სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში", „საშობლო აკაკის შემოქმედებაში", „მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის" განხილვა". ეტყობა მოსწავლეები კმაყოფილი არიან, ცოტაც და დინჯად, დაფიქრებით შეუდგენენ წერას.

**გავიდა რამდენიმე საათი და მერხიდან პირველი წამოდგა მეათეკლასელი გიორგი კამკამიძე. მან საგამოცდო კომისიას ჩააბარა თხზულება „საშობლო აკაკის შემოქმედებაში". სავსებით დამოუკიდებლად, უურადღებითა და მონდომებით დაწერა თემა „არსენა მარაბდელის" განხილვა" ფრიადოსანმა მოსწავლემ

დედებო, ვბრძანოთ!

დოგიდა ივნისის პირველი დღე. მშვენიერი ზაფხულის პირველი დღე. მსოფლიოს კეთილშობილმა ადამიანებმა ეს დღე ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღედ დააწესეს. 1 ივნისს ჩვენი პლანეტის კეთილი ნების ადამიანები ერთხელ კიდევ განსაკუთრებით ირაზმებიან კომუნისტური პარტიის ირგვლივ, რათა მოითხოვონ მსოფლიოს ბავშვთა ბედნიერება, მათი მშვიდობის უზრუნველყოფა.

იმ ბავშვებისა, რომლებსაც ტრადიციულად ყვავილებს აღარებენ.

რატომ ყვავილებს?

ალბათ იმიტომ, რომ ისინი ალამაზებენ ჩვენს ცხოვრებას ყვავილთა დარად.

ალბათ იმიტომ, რომ ისინი ყვავილებს ჰგავნან. მაგრამ მაინც სხვა შედარებაა მოსაძებნი!

განა ყვავილთა მსგავსად მსუბუქია ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელსაც გვაკისრებენ ჩვენი პატარები? ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ მათთვის ვცხოვრობთ, ვშრომობთ, ვიბრძვით. მათი სახელით განპირობებულია ჩვენი ყოველი ნაბიჯი, ყოველი საქმე, ყოველი სიტყვა. მათი სახით ჩვენ ვიტვირთეთ დიადი მისია — აღვზარდოთ ადამიანი, ავიყვანოთ მისი სული მწვერვალზე. არა, ყვავილთა დარი არ უნდა იყოს ისინი! აქედანვე კუნთმაგარნი, გაკაქუბულნი და შემმართებელნი უნდა ვიხილოთ. სხვანაირად არც შეიძლება — მათს ღონიერ ხელებს უნდა გადავცეთ მომავლის ესტაფეტა. მათ უნდა გამოჭედონ უკეთესი და უკეთესი მერმისი!

თბილისური ივნისის დღეა. ჰაერების საყვარელ ხეივანში ნაკადად მოდის საბავშვო ეტლები. თეთრი ქუდები, თეთრი წინდები და ფერადი-ფერადი ბურთები. მშვიდად მოცურავს „პეერში ჰაერების ბუმბულა ყვავილი და ისე, როგორც არასდროს, გულს სურს მშვიდობის დღეები ჩვენი ნორჩებისათვის, ჩვენი პატარებისთვის...

ნაირფერი ჟურნალ-გაზეთებით აჭრელებულ ფარდულებთან ხალხი დგას რიგში და უცად ყრუ ტკივილად იკრება გულში შორეული გასროლის ექო. გახსენდება, რომ შენს პლანეტაზე ბარბაროსულად ილვრება სისხლი. განა ხიროსიმას მწარე გაკვეთილი არ ღირდა იმათ, რომ ეს აღარ გამეორებულიყო?..

ხიროსიმელი პატარა გოგონა დამწვარ ხელებს მაღლა აღაპყრობდა და ისე მოუხმობდა ადამიანებს სიმართლისათვის, მშვიდობისათვის საბრძოლველად. ეს სურათი არასოდეს არ წაიშლება მილიონთა მეხსიერებაში.

ეს ენდა აღამფოთებდეს ყველაზე მეტად ეს საშინელება, თუ არა ჩვენ — დედებს. დედა ნაზია. მაგრამ ძუ ვეფხვივით გაადფრთრებულიც; დედ ჩვენმა ბოკვერებმა ისწავლონ შრომა, მაგრამ ბრძოლაც ვასწავლოთ კაცობრობის კეთილდღეობისათვის, სამართლიანობისათვის. თავად ჩემთვის, როგორც შემოქმედისთვის, სხვა უკეთესი თემა არ არსებობს: დედა ვარ, მაშასადამე, მაქვს უდიდესი უფლება შევება ბოროტებას, ხმა აღვიმაღლო და მოვითხოვო ჩემი ბედნიერი წილხვედრი.

ჩემი ჭალური დიდი უფლებით
გიბრძანებთ, კი არ გესაუბრებით!
ჩემი დედური დიდი უფლებით
გიბრძანებთ — განა გესაუბრებით!
მე ყოველ ღამე ვიძინებ სეფდით,
მე ყოველ დილით ვიღვიძებ რისხვით,
მე მესიზმრება ნანგრევთა ხედი
და გვირილებზე ახალი სისხლი.
მე მესიზმრება ომის ურჩხული
და გაციებულ ბაგით ვჩურჩულებ,
თქვენ ეს ჩურჩული უნდა გზარავდეთ
და ძირსა ჭირდეთ გლუვ მუზარადებს!
თქვენ ეს ჩურჩული უნდა გზარავდეთ!..

დედებო, ვბრძანოთ! დედებო, მოვითხოვოთ! და ჩვენ შეუძლებელსაც შეგვძლებთ, რადგან არ არსებობს დედის ნებაზე უფრო ძლიერი სხვა რამ ნება!

ნაზი კილასონია.

ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ

გვირილების თაიგულით დამშვენებულ გოგონას კაბაც გვირილასავით მოხატული აცვია. მის გვერდით თავი დაუხრია ლურჯთვალა იას. აგერ სცენაზე შემოცქრიალდნენ ენძელების, წითელი, ყვითელი ვარდების კოსტიუმებით გამოწყობილი პატარები და იწყეს ცეკვა-თამაში. ისინი ინგლისურად მღეროდნენ და თან ერთმანეთს აცნობდნენ, თუ როგორ უყვარდნენ მათ მოსწავლეები, დროზე უსხამდნენ წყალს, ასუფთავებდნენ სარეველებისაგან.

წარმოდგენას სიმღერა მოჰყვა, შემდეგ ნორჩმა მოცეკვავეებმა გვიჩვენეს თავიანთი ხელოვნება, მესამეკლასელებმა მშვენივრად შეასრულეს სცენა ოპერეტიდან „ჭრიკინა და ჭიანჭველა“. უფროსკლასელებმა წარმოადგინეს სცენები სამავშვო დადგმებიდან, ინსცენირება ჯ. ლონდონის „მარტინ იდენიდან“ ს. მოემის „სასაუზმეში“, ჩ. დიკენსის — სათამაშოების მკეთებელი ბრმა გოგონასა და მისი მამის ცხოვრება. დარბაზი ტაშით აჯილდოებდა ნორჩ მომღერლებს, დეკლამატორებს. მთელი ეს საზეიმო დილა, რომელიც თბილისის 47-ე საშუალო სკოლის ინგლისური ენის გაძლიერებული მსწავლელებმა წარმოგვიდგინეს, ინგლისურად მიმდინარეობდა.

ასე აქ ყოველ გაზაფხულს, სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით სკოლის მოსწავლეები თავიანთ მშობლებს, მასწავლებლებს, სტუმრებს აცნობენ რა ისწავლეს სკოლაში მთელი წლის განმავლობაში.

წლევანდელი საზეიმო დილა უფრო შინაარსიანი და ხალისიანი იყო. მასში მონაწილეობას იღებდა თითქმის 800-მდე ბავშვი. ამ დღისათვის კარგად მოემზადნენ თვითეული კლასი და მათი პედაგოგები, ამ დიდ ღონისძიებას უნარიანად ხელმძღვანელობდნენ სკოლის დირექტორი თამარ ჩიჩლაძე და სასწავლო ნაწილის გამგე ინგლისური ენის სპეციალობით თინა გეგეჭკორი.

პროგრამა ისე იყო შერჩეული, რომ ბავშვებმა თავად გვიჩვენეს, როგორ სწავლობენ უცხო ენას, რა ტექნიკური საშუალებებია მათს განკარგულებაში, როგორ ასწავლიან მათ პედაგოგები და რა საგნებს სწავლობენ ისინი ინგლისურად. პატარებმა გაითამაშეს სცენები ინგლისური ენის გრამატიკის, გეოგრაფიის, ისტორიის გაკვეთილებიდან, გვიჩვენეს როგორ იყენებენ ისინი თვალსაჩინოებისათვის დიაფილმებს, რუკებს, მეტყველების დახვეწისათვის მაგნიტოფონს. პატარებმა წარმოადგინეს როგორ ატარებენ ისინი ინგლისურად მკითხველთა კონფერენციებს, პიონერთა შეკრებას. ამჯერად შეკრება ვ. ი. ლენინის დაბადების თარიღს მიეძღვნა. ნორჩმა ფიზკულტურელებმა შეასრულეს სპორტული ვარჯიში, ხოლო ბევრმა პატარამ თავი ისახელა კარგი სიმღერითა და ცეკვით. ამას დავუმატოთ სიმღერის საკმაოდ ტკბილმბოლვანი გუნდი, და ყოველივე ეს შემოხვევითი კი არ ყოფილა. 47-ე სკოლაში, სადაც ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება 1961 წლიდან დაიწყო ამ საქმის დიდი ენთუზიასტის თინა გეგეჭკორის თაოსნობით, სიმღერის, შრომის, ფიზკულტურის გაკვეთილები ინგლისურ ენაზე ტარდება. ეს ეხმარება მოსწავლეებს უკეთ დაეუფლონ უცხო ენას.

მოსწავლეთა საზეიმო დილას ესწრებოდნენ დედაქალაქის ინგლისური ენის პედაგოგები, განათლების სამინისტროს მუშაკები, უნივერსიტეტის პროფესორ - მასწავლებლები.

დავინტერესდით, როგორ შეფასებას მისცემდნენ მოსწავლეთა გამოსვლებს, მათს საუბარს, მეტყველებას, სწავლების მეთოდიკას ინგლისური ენის სპეციალისტები. სწორედ ამიტომ ვთხოვეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრის გამგეს პროფესორ გივი გაჩეჩილაძეს გამოთქვა თავისი მოსაზრება.

— პირველ რიგში აღსანიშნავია ის დიდი შრომა, რაც გაუწევიათ ამ შინაარსიანი პროგრამის მომზადებაში როგორც პედაგოგებს, ისე მოსწავლეებს, — აღნიშნა მან. — პროგრამა საინტერესოდ არის შერჩეული, სწავლება შერწყმულია გართობის, თამაშობის ფორმასთან, რაც მას ბავშვისათვის საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის.

მომეწონა ხელგარჯილობის გაკვეთილი, როცა პატარები თავისი ხელით აკეთებდნენ ყვავილებს. აქ შრომაც არის, თვალსაჩინოებაც და ენის სწავლებაც. რაც შეეხება მეთოდიკას, ის მოითხოვს შემდგომ დახვეწას. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ მომავალში პუმანიტარული საგნების სწავლება განხორციელდება ინგლისურ ენაზე.

ამავე დროს უნდა მოგახსენოთო, რომ ასეთი სკოლები, სადაც ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება წარმოიშვა, თბილისში არაერთია, და ეს სასიამოვნოა. ჩვენი ბავშვები უკვე სკოლის მერხიდან ეჩვევიან უცხო ენის შესწავლას, რაც შემდგომში მათ დიდად დაეხმარება ამ ენის უფრო სრულყოფილად დაუფლებაში.

ლარისა ხუბულური,

• • •

სურათებზე თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები, (ქვემოთ) ინგლისური ენის გაკვეთილის ინსცენირება.

ფოტო გ. სანაიასი.

ნარინჯოვანი გოგონა

საქართველოში ცხოვრობს ირმა სოხაძე, რომელსაც პარიზში, მოსკოვში, ვარნაში, კიევში... „ნარინჯოვანი გოგონა“ შეარქვეს, მას უყვარს დედოფლები, წითელი ბერთი და ეზოში კლასობანას თამაში. უყვარს ჰაიდნი, ბახი, შუბერტი... და მღერის ორას სიმღერას — სვედიანს, ნათელს, სერიოზულს... ყველასთვის მღერის ირმა პატარებისთვის და დიდებისთვისაც. მისი შემოქმედება ბავშვურ საზღვრებში ვეღარ ჩაეტია და იქცა „პატარა საოცრებად“...

არც თუ დიდიხნის წინათ, ირმა პარიზიდან რომ დაბრუნდა, საოცარი გვქონდა მის შესახებ, და ახლა კვლავ მინდა გაამბოთ გოგონას გამარჯვებაზე კიევში.

ოფიციალურად უკრაინის კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და კიევის საოლქო კომიტეტმა მიიწვიეს პატარა ქართველი მომღერალი უკრაინის დედაქალაქში სოლო კონცერტების გასამართავად.

სოლო კონცერტი 11 წლის ასაკში უაღრესად რთული მრავალფეროვანი რეპერტუარით თორმეტი ათასიანი აუდიტორიის წინაშე (სპორტის სასახლეში), მით უმეტეს, როცა თითქმის ყველა ნომრის გამეორებას დაეინებით ითხოვდა მაყურებელი, უკვე დიდი გამარჯვებაა.

საესტრადო ორკესტრს ქართველი მუსიკოსი გივი გაჩეჩილაძე დირიჟორობდა. საქსოფონისტი მარიკა ოტოლიანი საძღვნო. და სხვები ბრწყინვალე შემსრულებლები არიან და ამიტომაც ისე მაღალ პროფესიულ დონეზე ჟღერდა ორკესტრი. უკრაინელ კონფერანსიეს გიორგი კისლიუს მახვილგონიერად მიჰყავდა კონცერტი. საერთოდ ორკესტრის წევრები მაყურებლებთან ერთად გაოცებასა და აღტაცებას გამოთქვამდნენ. გულით შეიყვარეს კიეველებმა ირმა სოხაძე.

გახსოვთ მისი შესრულებით შაინსკის „ოატომ“... „ნარინჯოვანი სიმღერა“, „იტალიური—„სვედიანი გიტარა“ და სხვა და სხვა. მაგრამ კიევში გამართულ კონცერტზე ირმა წარსდგა საოცრად გაზრდილი, როგორც შემოქმედი დაიხვეწა, გამქვირვალე გახდა ბგერა. ყველა მუსიკალური ნიუანსი, სიმღერის კოლორიტის შეგრძნების უნარი კიდევ უფრო ამაღლდა, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ხალას ვოკალურ მონაცემებზე და სმენაზე...

მაგრამ კონცერტის ამოთეოზი იყო „მისტერ პაგანინი“ და „ცეკვები საკოიში“. ზედმეტია ლაპარაკი ამ სიმღერების სირთულეზე, იმპროვიზაციის განსაკუთრებულ ჩაქიფობზე. ჯაზური კლასიკის ნიმუშების მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებამ გაოცება მაყურებელი. თერთმეტ ენაზე მღეროდა ირმა ამ საღამოს და ბოლოს კიეველ მაყურებლებს სასიამოვნო სიურპრიზი მიუძღვნა, კონცერტი მელოდიური: უკრაინული „ჩერემშინათი“ დაამთავრა.

წინასწარ მინდა მოგაგონოთ კონცერტის დიდი მნიშვნელობა, რადგანაც ნორჩი სოლისტის სამი სოლო კონცერტის მთელი შემოსავალი ვეტერანამ გაგზავნა ნობელთად. ირმას გამოსვლამ კიევში დიდი ინტერესი გამოიწვია. მიღოცავს, ტამს ბოლო არ უჩანდა.

კომკავშირის კიევის საოლქო კომიტეტმა ირმა სოხაძე საპატიო სიგელით დააჯილდოვა. უკრაინის დედაქალაქში ყოფნის მოსაგონებლად ტელევიზორიც უსახსოვრეს.

კონცერტს ესწრებოდნენ ლენინგრადელი სტუმრები. კომკავშირის საქალაქო კომიტეტის სახელით მათ მიიწვიეს ირმა სოლო კონცერტების გასამართავად...

კიევის პრესა ფართოდ გამოეხმაურა ქართველი გოგონას გასტროლებს. „სელსკი ვისტმა“, „ტრუდმა“, „ვეჩერნი კიევმა“, „სოციალისტიჩნა კულტურამ“ გულთბილი წერილები მიუძღვნეს ირმას.

ერთ-ერთი რეცენზენტი ი. პეტრუსი აღნიშნავდა: „ამ საოცარ გოგონას სიმღერა ჩვენი შეფასების ფარგლებს სცილდება. ამიტომ მაძღლდება რამე ვთქვა მასზე, გარდა დიდი გაოცებისა, რომელიც ისეთივე ახლებური იყო ჩვენთვის, როგორც ირმას სიმღერა, რომელსაც ის ასრულებდა ჩვენთვის უცნობი ხერხებით... ეს იყო უმაგალითო სანახაობა“.

მალე მოსკოვში დაიწყება საქართველოს დღეები. ირმა სოხაძე კვლავ წარსდგება დედაქალაქის მაყურებლების წინაშე და კვლავ დიდ სიამოვნებას მიანიჭებს მათ თავისი სიმღერით.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, თუ რა პოპულარული გახდა ქართველი მომღერლის შესრულებით „ნარინჯოვანი სიმღერა“. პარიზში მარინა ვლადიმ თავის სამ დასთან ერთად შეასრულა იგი და გრამფირფიტების აკადემიის დიდი პრიზი დაიმსახურა.

გოგონას წერილს სწერენ არა მარტო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან, არამედ საზღვარგარეთიდანაც. ახლახან ბარიზიდან მოვიდა წერილი. ფრანგი მოსწავლეები სთხოვენ ირმას გაუგზავნოს მათ „ნარინჯოვანი სიმღერის“ ჩანაწერი.

დღეს ბავშვთა დღეა. ნარინჯოვან გოგონას და მის ტოლებს დედამიწის ყველა კუთხეში გულსურვებთ ბევრ ღიმილს, გამარჯვებას, ბედნიერებას.

ირმას უყვარს თოჯინებთან თამაში, ხატვა, მუსიკა. უყვარს ბავშვები — თავისი ტოლები. სადაც უნდა ცხოვრობდნენ ისინი — აფრიკაში იქნება ეს თუ ჩუკოტკაზე, პარიზში თუ ვიეტნამში. დედამიწა, ვეებერთელა, კარუსელივით ტრიალებს. ჩვენს ქვეყანაზეც გადის მერიდიანები. იქნება ისინი როდესმე ბავშვებისათვის საჰაერო-საბაგირო გზად იქცეს. გაჰყვნენ მის რბოლას, კონტინენტები შემოიარონ. მოასწრონ ერთმანეთის გაცნობა, დამეგობრება, რომ ჩვენი პლანეტის მაღალი ცა, მზე დიდი და ნათელი სულ მუდამ ნარინჯისფერი იყოს.

ნანა ჯაფარიძე.

ოთხი გოლი „ფლამენგოს“ კარში

„დინამო“ (თბილისი) — „ფლამენგო“ (რიო-დე-ჟანეირო) 4:0 (2:0). თბილისი. 31 მაისი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — ბ. ბაბრამოვი (ბაქო).

„დინამო“ — კოტრიკაძე (ნარსია), ბ. სიჭინავა, ჭელიძე (ჯოხონელიძე), რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი (შერგელაშვილი), კუტუვაძე (გ. სიჭინავა), იამანიძე, ასათიანი (მაისურაძე), მეტრეველი, გიორგაძე (პეტრიაშვილი), მესხი; „ფლამენგო“ — აურელიო, ლეონი, დიტაო, ატამარი, კარლინოსი (ლეუხინიო), ენრიკე (პეტრინიო), მურილო, ფარვასი, ალმარი (ამერიკო), ადემარი, ოსვალდო.

ვერ ვიტყვით, რომ წელს თბილისელები საერთაშორისო შეხვედრებით განებივრებულნი არიან. ამიტომ ბრაზილიის ცნობილი საკლუბო გუნდის, „ფლამენგოს“ გამოსვლისადმი ინტერესი უჩვეულო იყო.

„ფლამენგოს“ განსაკუთრებით გადაცემათა სიზუსტით კარგი მთამბეჭდილება დატოვა, რაც შეეხება ტექნიკას, ვერაფერს ვიტყვით, ყოველ შემთხვევაში ბრაზილიელები გუნდან არ ბრწყინავდნენ.

დინამოელთა თამაშს მეტი შემოქმედებითი და სანახაობითი სახე ჰქონდა.

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს 34-ე წუთზე. შორი მანძილიდან ასათიანმა კარის ზედა კუთხეში მეტად ეფექტური ბურთი გაატანა. ამას მალე მეორე გოლიც მოჰყვა. ცხოვრებოვის საჯარიმო დარტყმას 18-20 მეტრიდან „ფლამენგოს“ მეკარემ ვერაფერი ვერ მოუხერხა.

კარის აღების ორი რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ სტუმრებს მეორე ნახევარში და ორივე დაკარგეს. დინამოელები კვლავ შემტევ სტილში მოქმედებდნენ. მაყურებელთა ერთსულოვანი ტაში გამოიწვია მესხის, მაისურაძისა და გიორგაძის კომბინაციამ, რომელიც 58-ე წუთზე გიორგაძის გოლით დაგვირგვინდა. ასევე ლამაზი იყო 66-ე წუთზე მეტრეველის ჩინებული მიწოდების შემდეგ მაისურაძის მეოთხე გოლი.

ფეხბურთის ახალი ამბები

სსრ კავშირის ფეხბურთელთა კლუბების ნაკრები გუნდი 30 მაისს მონრეალს გაემგზავრა, სადაც შაბათს იხსნება მსოფლიო გამოფენისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო ტურნირი ექვსი ქვეყნის სპორტსმენთა მონაწილეობით.

საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ვიდა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის რვა კლუბის 17 ფეხბურთელი. ესენი არიან: მეკარეები — ი. კმენინჩენკოვი და რ. ურშუძე; მცველები — ვ. ანინჩკინი, ვ. იკანოვი, ს. კრულიკოვსკი, ვლ. ლევჩენკო, ნ. ბოგდანოვი; ნახევარმცველები — ვ. მუნტიანი, ი. სპრეოსტიკოვი, ტ. შულიაბიცკი, ა. ესკინოვი; თავდასმენელები — ბ. ნოდია, ბ. ბრასნიცკი, ვ. ფედოტოვი, ი. კოპაევი, ვ. ბაჯიევი, ბ. აბდურაიმოვი. გუნდის უფროსი მწვრთნელია ბ. კაჩალინი, მწვრთნელი — ნ. სიმონიანი.

4 ივნისს სსრ კავშირის კლუბების ნაკრები გუნდი მონრეალში შეხვდება ლიეჟის „სტანდარდს“ (ბელგია), ხოლო 8 ივნისს — დორტმუნდის „ბორუსიას“, (დასავლეთ გერმანია). მეორე წინასწარი შეხვედრების ჯგუფში გამოდიან ინგლისის, ავსტრიისა და მექსიკის ფეხბურთელები.

მაისის უკანასკნელ დღეს ხუთი საბჭოთა გუნდი გაემგზავრება საზღვარგარეთ. დედაქალაქის არმიელები გამოვლენ ბულგარეთში, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ ფეხბურთელები — ირანში, „პახტაკორი“ — პოლონეთში, ერევნის „არარატი“ — საფრანგეთში, ხოლო მოსკოვის ტორპედოელები — შვეიცარიაში.

2 ივნისს პარაზში მიფრინავს სსრ კავშირის ფეხბურთელთა პირველი ნაკრები გუნდი, რომელიც მეორე დღეს ამსანაგურ მატჩს გამართავს საფრანგეთის ნაკრებთან. ეს იქნება ამ ქვეყნების ნაკრები გუნდების სათვალავით მეთხუთე მატჩი. 1955 წელს მოსკოვში შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 2:2, ზუსტად ერთი წლის შემდეგ პარიზში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:1, ხოლო შარშან ლუჟნიკში შეხვედრა კვლავ ფრედ დამთავრდა — 3:3.

(საკვლევი).

ხუთიდან ხუთივე — ნახევარფინალში

ევროპის ჩემპიონატი კრივში დასასრულს უახლოვდება. რომის რინგი ელოდება ფინალისტებს, იმათ, ვინც ოქროს მედლებზე აცხადებს პრეტენზიას. ჩემპიონებიდან პირველობას ხუთ მხოლოდ სამი მოკრივე შემორჩა. ესენი არიან პოლონელი ე. კულეი და რინგის საბჭოთა ოსტატები ვ. აბეევი და დ. პოზნიაკი.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით ა. კისელიოვის (მეორე საშუალო (წონა) ნახევარფინალში გასვლაზე. აქ მისი მეტოქე იქნება ჩეხოსლოვაკიელი ი. ჯეიდუკი. ვ. ფროლოვი (პირველი ქვესაშუალო წონა) ნახევარფინალში შეხვდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს პ. ტიკოლდს. მეოთხედფინალებში წარმატება ხვდათ აგრეთვე უმჩატესი და პირველი საშუალო წონის მოკრივეებს პ. გორბატოვსა და ვ. აბეევს. პ. გორბატოვის მეტოქე ნახევარფინალში იქნება ბერლინის ევროპის ჩემპიონატის წინანდელი ფინალისტი პოლონელი ჯუბერტი, ხოლო ვ. აბეევისა — ი. ოკოპაჩი (რუმინეთი). ქვეძმიმე წონაში საბჭოთა მოკრივე დ. პოზნიაკი შეხვდება რუმინელ ი. მონეს.

ამრიგად, ხუთი საბჭოთა მოკრივიდან ხუთივე ნახევარფინალში გავიდა.

გუშინ გვიან ღამით „პალაცო დელა სპორტის“ რინგზე მიმდინარეობდა ნახევარფინალური შეხვედრები.

ფინალისტები ცნობილია

მსოფლიო ჩემპიონატის წინასწარი შეხვედრების უკანასკნელ მატჩში სსრ კავშირის კალათბურთელებმა მოუგეს არგენტინის გუნდს 105:66. ამერიკელებმა დაამარცხეს იუგოსლაველები 76:71, პოლონელმა კალათბურთელებმა კი პარაგვაელები — 101:60.

ამრიგად ყველა ფინალისტი ცნობილია. ესენი არიან: სსრ კავშირის, არგენტინის, იუგოსლავიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბრაზილიისა და პოლონეთის გუნდები. მათ შეუერთდება აგრეთვე ურუგვაის გუნდი, როგორც მასპინძლები.

ჯანსუღ ნიქაბაძე

წაუკითხეთ პატარებს

წუნიები

გამოაცხო ბებომ
სანაქებო კვერი,
ნახევარი — რეზოს,
ნახევარი — მერის.
რეზომ უთხრა ბებოს,
ხელსაც არ ვახლებო,
რათ მიეცი მერის
ჩემზე დიდი კვერი.
აქეთ მერი დავობს:
აღარც მე მინდაო.
დაუღია პირი,
ისიც მწარედ ტირის.
დაუბრუნეს ბებოს
სანაქებო კვერი,
ნახევარი — რეზომ,
ნახევარი — მერიმ,
სოფლის ბოლოს მღერის
წეწკი მელიაო,
წუნიების კვერი
გემრიელიაო.

რატომ?

ეკითხება ნანას ნატო:
— მითხარი, ნუ მიმალავ,
ტირიფის ხეს, დაო, რატომ
ეძახიან მტირალას?
ჩაეცინა გულში ნანას:
— მიზეზი სულ ეს არი,
ალბათ ტირიფს პირის ბანა
ეზარება შენსავით.

• • •

პაწაწინა ზღარბი
ნეტავ საით გარბის?
თურმე ოაკოს ბაღში
ჩამოვარდა ვაშლი.

საჩუქარი ბავშვებს

□ ქობულეთი. (საკ. კორ.). ქობულეთის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის კერებს შეემატა ბავშვთა საავადმყოფოს ორსართულიანი შენობა.

ახალი საავადმყოფოს პირველ სართულზე მოთავსებულია პოლიკლინიკა, ხოლო მეორეზე — სტაციონარი. საავადმყოფო უზრუნველყოფილია კვებისმოწყობილი ლაბორატორიებით, რენტგენის, ფიზიოთერაპიის, კარდიოლოგიის და სხვა კაბინეტებით. მუშაობენ ყელყურის, თვალის დაავადებათა და სტომატოლოგიის სპეციალისტები.

□ **ბავშვთა** დაცვის საერთაშორისო დღისათვის კარგი საჩუქარი მიიღეს ხაშურელმა ნორჩებმა. ლომოურის ქუჩაზე გაიხსნა 140-ადგილიანი ბაგა-ბაღის ახალი კეთილმოწყობილი შენობა. (საკ. კორ.)

ჩაუ ვიცალოთ, ჩაუ ეოვილეილოთ

ტელევიზია

1 ივნისი

09.30— უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექციაკრებულა, 10.40 — კონნარკვევი, 10.50 — დონიცეტის ოპერა „ალმზრდელი გასაჭირშია“ (იტალიის ტელევიზიის ნაწარმოები), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — გადაცემა „მოსწავლეთათვის — მწერლები ბავშვებს, 18.30 — ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გადაცემა მოსკოვიდან ინტერვიზიისათვის, 19.00—ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. 19.40 — ბულგარული სატელევიზიო ფილმი „რუსეთის ქალაქთა დედა“ (ქართულ ენაზე), 20.05 — „ახალი ტექნიკა სოფელს“, 20.20 — კონცერტი — „მღეროან დები ინბნლები“, 20.35 — ინტერვიუ კინორეჟისორ რეგაზ ჩხეიძესთან, 21.05 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.25 — მხატვრული ფილმი „წითელი მელოდიები“, 22.55 —გადაცემათა პროგრამა 2 ივნისისათვის, 23.00 — ევროპის პირველობა კრივში (გადმოცემა იტალიიდან).

2 ივნისი

09.30 — კინონარკვევები, 10.00 — უნგრული კინოკომედია „სიყვარული აკრძალულია“, 17.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 18.15 — ოქტომბრელთათვის — „იყო და არა იყო რა“..., 18.35 — განცხადებები, 18.40 — კინონარკვევი, 18.50 — დიადი თარიღის შესახვედრად — სახეს იცვლიან ქალაქები, 19.30 — კინონარკვევი, 19.30. — გადაცემა „ახალგაზრდობისათვის — „ინტერნაციონალიზმი და ქართული ახალგაზრდული მწერლობა“, 20.20 — კინონარკვევი, 20.30 — გადაცემა „მამათა სიმღერები“, 21.10 — კინონარკვევი, 21.20 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.40 — მხატვრული ფილმი „გზაბანეული“ (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ ფილმის ნახვა მიზანშეწონილი არ არის), 22.55 — გადაცემათა პროგრამა 3 ივნისისათვის, 23.00 — ევროპის პირველობა კრივში — ფინალი (გადმოცემა იტალიიდან).

თეატრები

1 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბორის გოდუნოვი (მე-7 აბონ. მე-5 წარმოდგენა). მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შომავალი შეხვედრამდე (პრემიერა), ვახტანგ აბაშიძის სახელობის მუსიკალურ კომედიის — სალხინოელი, სახელმწიფო კულტურის — მუჯი ცოლი, ეროვნული ავადმყოფრება, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ნივრიანი შევარდენი (№ 3 და № 17 აბონ. სულ. 6 ს.). სპორტის სასახლე—ანსამბლი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

ბაზეთ „კომუნისტის“ შეკ. დეგი ნომერი გამოვა შაბათს, 3 ივნისს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03. 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 8-22-98, მრეწველობის — 8-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58 ლიტერატურა-ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04080

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.